მალე ბათუმის სცენისმოყვარეთა წრე აღარ აკმაყოფილებდა. დიდი, ნამდვილი თეატრის მსახიობობაზე ოცნობდა. სწავლა უნდოდა, მაგრამ არც ბათუმში და არც თბილისში ამის საშუალება არ იყო.

1904 წელს გიმნაზიის დამთავრებისთანავე მოსკოვს მიასურა. დავით კლდიაშვილმა ალბათ იმათავივე დაინახა მასში ქართული თეატრისათვის საჭირო და საიმიდო ძალა და გაატანა სარეკომენდაციო ბარათი სახელგანთქმულ თანამემამულესთან — სუმბათაშვილ-იუჩინთან. იუჩინმა შესარულა კლდიაშვილის თხოვნა. მჭედლიშვილი სცენის თანამშრომლად ჩარიცხეს სამხატვრო თეატრში. ის არც თუ ისე ნიჭიერი მსახიობი აღმოჩნდა. მაგრამ ამას არ დაუღონებია იგი. სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს იდეებით გატაცებულმა რეჟისორობა არჩია.

მოსკოვში მჭედლიშვილი საინტერესო დროს ჩავიდა. მზადდებოდა 1905 წლის რევოლუცია. ყვილგან რაღაც ახალი ხდებოდა. სამხატვრო თეატრის აყვავების ხანა იყო. ტრიუმფით მიდიოდა ჩეხოვის სპექტაკლები, იდგებოდა გორკი... სცენას ამშვენებდნენ კანალოვი, მოსკვინი, ლეონიძე, სტანისლავსკი...

მჭედლიშვილი ერთ-ერთი საუკეთესო რეჟისორი ხდება. უკვე 1907-08 წლებში თეატრის ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი შემოიკრიბა და დადგა პირველი დამოუკიდებელი სპექტაკლი, ჩეხოვის „თოლისა“ პირველი მოქმედება. ამის შემდეგ სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანჩენკო უყვანნოდ ანდობდნენ მას რეპეტიციების ჩატარებას სცენის ოსტატებთანაც კი. „სჯაროდათ, რომ მჭედლიშვილს ბრწყინვალედ შეეძლო მუშაობა არა მარტო ახალგაზრდებთან, არამედ ისეთ დასრულებულ მხატვრებთან, როგორც იყვნენ კანალოვი, ლიონინა, მასალიჩინოვი, მურადოვა“... (სობოლჯი, „Жизнь Искусства“, 1924 წ. № 23 გვ. 2). ამრიგად, მჭედლიშვილი უშუალო მონაწილეობასღებულობს ისეთ დადგებებში, როგორცაა ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“, ბუშკინის „პორის ჯოდუნოვი“, გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, ისენინის „ბრანდო“, დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“, ანდრეიკის „ანათემა“ მეტერლინიას „ლუჯი ფრინჯილი“, ამ უკანასკნელის ყოველ ადვანცში იღებდა იგი მონაწილეობას, ხოლო 1921 წ. ადამიანი თითქმის სრულიად ახალი შემადგენლობით. ცხადია, ამ სპექტაკლებმა, ბათუე მუშაობამ დიდი გავლენა მოახდინეს მჭედლიშვილზე.

ვახტანგ

მჭედლიშვილი

გულნარა ჯავახიშვილი



ალვა დადინი მჭედლიშვილის სსოენისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ წერილში წერდა: „ამ მშვენიერ სახელს ისე შემეფეღო შავი არშია, რომ საქართველომ არ იცოდა, ვინ იყო იგი“. მხოლოდ ვიწრო თეატრალურ საზოგადოებისათვის იყო ცნობილი, რომ მოსკოვში, მსოფლიოში სახელმწიფევილ სამხატვრო თეატრში მოღვაწეობდა ქართველი რეჟისორი ვახტანგ მჭედლიშვილი.

თეატრისადმი სიყვარული მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა, ჯერ სულ პატარა ხშირი სტუმარი იყო ბათუმის სცენისმოყვარეთა წარმოდგენებისა. მამამ, იმ დროისათვის გა-

სტანისლავსკიმ, ნემროვიჩი-დანჩენკომ, სამხატვრო თეატრმა ჩამოაყალიბეს მჭედლიშვილი საბოლოოდ, როგორც საკუთარი შექმედლებების, საკუთარი ხელწერის მქონე რეჟისორი.

სამწუხაროდ, ახლა ძნელია ლაბარაკი მჭედლიშვილის ხელწერაზე, რადგან მას ძალზე ცოტა სპექტაკლი ჰქონდა დადგმული თეატრში.

მიუხედავად ამისა, მისი სპექტაკლები „მფრინავ ღამურაში“ და კირიშო თეატრში გოცის „ქალი-ველი“, გამესკის „აქ აღიღებენ გონებას“ და „ორი ბატი“, კაიხურის „იღვევლი ქვრივი“ იმ დროის საუკეთესო სპექტაკლებად ითვლებოდა. „ქალი-ველი“ — ეს იყო მისი იმპროვიზაციული თეატრზე ოცნების ხორცმესხმა: მან ვახტანგოვის „პრინცესა ტურანდოტზე“ ადრე ამ სპექტაკლში გამოიყენა იტალიური კომედია დელ არტეს პრინციპი. სპექტაკლი ყველას ხიბლავდა სიმუშპეით, თეატრალიზით, სადღესასწაულო ელფებით, მაღალ-მხატვრული გემოვნებით.

ალბათ ყოველივე ეს იყო მიზეზი იმისა, რომ როდესაც ბულგარეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა სტანისლავსკის სიხოვა, დაესახელებინა მათთვის თეატრის მთავარი რეჟისორის კანდიდატურა, სტანისლავსკიმ არჩევანი მჭედლიშვილზე შეარჩია.

...მაგრამ თეატრის ისტორიამ მჭედლიშვილი მაინც როგორც რეჟისორი — პედაგოგი შემოგვიჩანა მისი ერთ-ერთი მოწვევად წერდა კიდევ: „თავის რეჟისორულ მუშაობაში მჭედლიშვილი არის ორგანიზატორი, პედაგოგი, მკვლევარი“ (მ. ბაევი). „თუ როგორ წარმოეს ასეთი სტუდური მუშაობა და ისიც რეჟისორისა, უცნობია ფართო მასებისათვის. ამიტომ შეიძლება ვახტანგ მჭედლიშვილს არ ჰქონდეს დიდი სახელი ხალხში, მაგრამ თეატრალურ წრეებში ის უთუოდ ითვლებოდა ერთ-ერთ მომავალ დიდ რეჟისორად“ — წერდა ტიციაან ბაბიძე (წერილები, ნარკვევები, თბილისი, 1957 წ. გვ. 182).

თვითონ მჭედლიშვილს ყოველთვის იტაცებდა პედაგოგობა. ჯერ კიდევ დამწყები რეჟისორი ადამყვანს და სალუტანის სკოლებში ასწავლიდა. ყოველთვის, ყველგან საკუთარი პედაგოგად ითვლებოდა, სულ ახალგაზრდას ანგარიშს უწევდა ნები, რჩევას სთხოვდნენ. როდესაც ხმლიოვი არ მიიღეს სამხატვრო თეატრის სკოლაში, მჭედლიშვილმა, რომელმაც მასში მომავალი დიდი მსახიობი დიანანა, ითხოვა მისი ხელმეორე გამოცემა. სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის დამაარსებლის აზრი კანონად მიიღეს, ხმლიოვი უგამოდოდ ჩარიცხეს სტუდიაში.

მასალიტონოვის სკოლაში მჭედლიშვილი საუკეთესო და ყველაზე საყვარელ პედაგოგად იყო აღიარებული, რადგან მას შეეძლო ახლოს მისულიყო მოწაფეებთან, გვერდში ამოსდგოწონდა მათ; თავის თავში დამკვიდრებული გაემხნეებებინა, მომავლის რწმენა ჩაენერგა. მისი ყოფილი მოწაფეების ასლები იკონებენ მას, როგორც ჩუხუ, მოკლბალებულს, საოყრად თავმდაბალ ადამიანს, ყველას მფობარს, ყველას საქმის ინიციატორს. ტრადიციულ სამაგობოს, რომლებიც ხშირად იმართებოდა სკოლაში, როგორც წესი მჭედლიშვილი ხელმძღვანელობდა. მისი დიდი ფანტაზიისა და გონებაშახლეობის შედეგად ყო-

ველი ასეთი სადამო ბრწყინვალედ იყო დადგმული. ზოგჯერ აქ უკეთესად შევადგებოდა სტუდენტების აქტიორული მოცაინებები, ვიდრე გაკვეთილებზე, ნაწვევებში.

...როდესაც 1916 წელს მასალიტონოვის სკოლა დაიხურა, მჭედლიშვილმა ვერ შესძლო თავისი მოწაფეების მიტოვება, რადგან მათი მომავლის სწამდა... სწორედ ამიტომ გედაწვევტა მათი მომავლობით დადგა სპექტაკლი, რომელსა სამხატვრო თეატრის მეორე სტუდია. დასაგვმელად აირჩიეს გიპიუ-სის პიესა „მწვანე რგოლი“, ოცნების ბოლომდე განხორციელება ძნელი იყო. თვით სტუდენტებმაც არ სჯერდებოდა ამის.

მჭედლიშვილი კარგი ორგანიზატორი აღმოჩნდა. გათვალისწინებული იყო ყველა წვრილმანი. ამ მოწვევით სამხატვრო თეატრის „მოხუცები“ კი დააინტერესა. სპექტაკლში ნ. ლიტოცკევა, ა. სტრასხოიჩი და ი. დუნევიც იღებდნენ მონაწილეობას.

...სამხატვრო თეატრის მეორე სტუდია ერთხმად აღიარეს, სპექტაკლმა სტანისლავსკის, ნემროვიჩი-დანჩენკოს, ყველა მასალიტონისა და ფართო მაყურებლის მოწონება დაიმსახურა, პრესამ ქება-დიდება შეასხა მას. სტუდიის პატარა დარბაზი ვეღარ იტევდა მაყურებელს. „მწვანე ბეჭედზე“ მოხვედრა მოსოფლებში ოცნებად გადაქცათ. თუ წინათ ატივისის ეს პიესა ყველა თეატრში დამარცხდა, თუ დღემდე არავინ იჯერებდა პიესაში მომხდარ ამბავს, ყალბად მიარნდათ, ახლა, მჭედლიშვილის სპექტაკლის შემდეგ, ყველამ ირწმუნა იგი. სტუდენტები აოცებდნენ მაყურებელს თავიანთი სიმარტობით, უშუალოდ. თვითონვე იტრობი — მოაგანი თუ მეორეხარისხიანი, თვითიული მიზანსცენა, ყველა დეტალი ბრწყინვალედ იყო დამუშავებული. მასობრივ სცენებზე კი მოსკოვის „თეატრალური გაზეტი“ წერდა: „ძალიან დიდი ხანია, არც ერთი თეატრის სცენაზე არ გვინახავს ისეთი მასობრივი სცენები, როგორიც გვაჩვენა მჭედლიშვილმა“.

„მოგონება ამ შესანიშნავ, განუმეორებელ დღეზე — სტუდიის გახსნის დღეზე, სამუდამოდ დარჩება ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო და ძვირფას მოგონებად ყველა ჩვენთანანისათვის და ამიტომ, როცა გვახსენდება უკვე გაფრენილი ახალგაზრდობის ეს შორეული დღეები, ჩვენ უნებლიეთ წარმოვიდგებთ საზე მეორე სტუდიის სულისჩამგმეღარს და ორგანიზატორის, ჩვენი მასწავლებლის, ჩვენი დავეუწყარი მეგობრის, ძვირფასი ვ. ლ. მჭედლიშვილისა“ (კ. ა. ვერბიცი. — „მეორე სტუდია“ — *Жизнь и труды МХАТ-а за 1946* წ. მოსკოვი, ალბათ ამიტომ უწოდეს სტუდენტებმა ახლადშექმნილ სტუდიას „მწვანე ბეჭედი“, ხოლო შემდეგ მას ვახტანგ მჭედლიშვილის სახელი მიეკუთვნა.

მჭედლიშვილმა სტუდიაში დადგმებზე მოიწვია სტანისლავსკი, ლუქსიკი... შემდეგ, როცა სტუდია ცოტა მოღონიერდა, გასტროლებზე დაჰყავდა იგი. ორჯერ 1922 და 1923 წლებში მჭედლიშვილმა სტუდია თბილისში ჩამოიყვანა. სპექტაკლებს დიდი წარმატება ხვდა წილად.

გარდა „მწვანე ბეჭდისა“, სტუდიის რეპერტუარში იყო მჭედლიშვილის დადგმები: ი. ანდრეევის „სიბავშვე“, ა. ჩხიშვილის „ქურდები“, ან. ფრანსის „კომედია ადამიანზე, რომელმაც შეირთო მუნჯი ცოლი“. აქვე დაგვა მან თავისი უკანასკნელი, და შეიძლება საუკეთესო, სპექტაკლი სიმონის „აღიზა-

ვეტა პეტროვანა“, რომლის დამთავრება ვერც კი მოასწრო. ეს იყო მეორე სტუდიის უდიდესი გამარჯვება, სწორედ მისი ლიკვიდაციის წინ. „ელიზავეტა პეტროვანა“ იყო ერთადერთი სპექტაკლი, რომელიც შევიდა სამხატვრო თეატრის რეპერტუარში სტუდიის მასთან შეერთების შემდეგ და წლების მანძილზე იდგმებოდა სახელგანთქმული თეატრის სცენაზე.

რევოლუციის პირველ წლებში, როდესაც სამხატვრო თეატრი კრიზისის წინაშე იდგა, როდესაც „მოხუცები“ ვერბოასა და ამერიკაში იყვნენ საგასტროლოდ, ხოლო ადგილზე დარჩენილი ვერ გარკვეულიყვნენ რა გზა აერჩიათ, მწვავედ დაღვა საკითხი აქტიორული ძალების გადახალისებისა, თეატრმა მასთან არსებული თხიბი სტუდიიდან თავის რიგებში მთლიანად მიიღო მჭედლიშვილის სტუდია და მხოლოდ რამდენიმე კაცი გზას სტუდიელები. მოსკოვის სამხატვრო თეატრი, რომელმაც იმ ხანებში „თავისი მხატვრული მუშაობა სტუდიებში გადაიტანა, ყველაზე მეტს მიიღო და სწორედ ვახტანგ მჭედლიშვილისაა. ქართველებისათვის უჩვეულო თანდათანობით, გააფთრებთა და სასტიკი დისციპლინით ვახტანგ მჭედლიშვილი ყოველ წამს იკვლევდა წინ საუელ გზას“. (ტიკაძე ტაბიძე). სწორედ მეორე სტუდიამ შემატა სამხატვრო თეატრს უმცროსი თაობის სახელგანთქმული წარმომადგენლები — ხმლოთი, ტარასოვა, სულკოვი, პრუდინი, სტანიინი, ბაგდალოვი... მჭედლიშვილის სპექტაკლებში დაიწყო მათი აქტიორული მიჯნობა. სამართა კავშირის სახაზო არტისტიც ატა ტარასოვა მოგონებაში წერს: ჩემთვის „ვახტანგ მჭედლიშვილის სახელთან დაკავშირებულია არა მარტო „მწვანე ბუტის“ დაღვა სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიამ, სადაც ის იყო რეჟისორად, არამედ ყველაზე სანატრელი, ყველაზე ნათელი, ცხიბი იმედებით აღსავსე ახალგაზრდობა და აქტიორული ცდილობის დასაწყისი. ეს იყო ჩემი, როგორც მსახიობის დაბადება. ვახტანგ ლევანის-ძემ, ყურადღებამა, მცოდნე, ნიჭიერმა პედაგოგმა და რეჟისორმა შეთოვრება თავის გარემო სამხატვრო თეატრთან არსებულ სკოლის საუკეთესო მოწაფეები მისი დახურვის შემდეგ, რომ არ ყოფილიყო ვახტანგ ლევანის ძე, ბევრი მათგანი დაიკარგებოდა და აღბათ არც არასოდეს ვახტანგ მსახიობი. ეს არ არის სიტყვები, რომელსაც ხშირად ამბობენ ჩვენგან სამუდამოდ წასულ ადამიანებზე. ანა, ეს ასე იყო“.

სამხატვრო თეატრის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ წიგნში მჭედლიშვილი ასეა დახასიათებული: „მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორი, სცენის დიდი მცოდნე, მეორე სტუდიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი ხელმძღვანელი, ურყევი მიმდევარი თეატრალური ახალგაზრდობისა. მოსკოვისა და პროვინციის ბევრ ახლანდელ მსახიობს დახმარა ვახტანგ ლევანის ძე, რომ სწორ გზაზე დადგარიყო. ყრფილი სურვილი, დახმარებოდა მოწაფეებს — აი, რა იყო მისი სახილათის მთავარი თვისება. საკვდლის წინ მან მოსკოვში დააარსა იმპროვიზაციის სტუდია, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს. მჭედლიშვილი 40 წლის გარდაიცვალა: მან თავისი სიკაცხელის ნახევარი სამხატვრო თეატრში მუშაობას მოაწოდო“. (გაუთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 26 V-1944 წ.).

მჭედლიშვილის სამხატვრო თეატრში ზოგი რამ მიიწერა არ მის წოდება. შეიძლება ეს სწორედ მისი ბუნებით აიხსნებოდა.

მისთვის მარჯანიშვილის შემოქმედებით პრინციები უფრო მასობელი, უფრო ორგანული იყო. მარჯანიშვილის სამხატვრო თეატრში მიღვაწეობის დროს მჭედლიშვილი მისი ასისტენტი იყო, ხოლო შემდეგ მას „თავისუფალი თეატრში“ გაკანა. შეიძლება ამის შემდეგ კიდევ უფრო მიუღებელი გახდა მისთვის სამხატვრო თეატრში იმ დროს გადართებული ნატურალიზმი. ვ. მჭედლიშვილი თეატრში თეატრალობის მითითება და მიანდა, რომ ზედმეტი ყოფითობით გატაცება უფრო საშიშია, ვიდრე ფორმით. ის როგორც რეჟისორი — პედაგოგი იბრძოდა, რომ თეატრში რეჟისორის როლის გაზრდა შედეგად მსახიობები ერთგვარ მიმამკველებად არ გადაქცეულიყვნენ და არ დაეკარგათ საკუთარი ინიციატივა, იმპროვიზაციის უნარი. სამხატვრო თეატრში ზოგჯერ მიუღებელად ადვილად დაკრული ტაბიცი კი აბნევის მსახიობებს და თუ ასეა ნაზე რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდა, სულ არ იცინა, როგორ მოიქცნენ, რომ არ დაარღვიონ რეპეტიციებზე ერთხელ და სამუდამოდ დადგინდო. რეპეტიციები ქურდავე სპექტაკლს. მსახიობს კვინია, რომ უკანასკნელი რეპეტიცია უნდა გაიმეოროს მაყურებლის წინაშე, სინამდვილეში კი საჭიროა ყოველ სპექტაკლზე დაიბადოს კვილი და ბორბი გაწყობილება, საჭიროა ებრძოდ პარტნიორებსა და ვითარებას... იმპროვიზაციის სტუდიას.

ვ. მჭედლიშვილის ყოველთვის იტაცება იტალიური კომედია დელ'არტე. მიანდა, რომ XX საუკუნის ჭეშმარიტ მსახიობს აუცილებლად უნდა ჰქონოდა იმპროვიზაციის უნარი და ეს თვისება ძალ ალზრდის დროს და ნება უქონია სწორედ ამ მიზნით ვ. მჭედლიშვილი 1321 წელს მოსკოვში აარსებს იმპროვიზაციის სტუდიას.

ადიარტე, რომ მისი იმპროვიზაციის სტუდია კომედია დელ'არტეს პრინციპზეა შექმნილი, მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მისი საფუძველი ქართული ხალხური სანახაობანი და მარჯანიშვილის „თავისუფალი თეატრიც“ იყო. მარჯანიშვილის და მჭედლიშვილის თეატრში მისი მზანა ქმნიდა, მხოლოდ სხვადასხვანაირად იბრძოდნენ ამისათვის. მარჯანიშვილი თეატრებს ქმნიდა, მის მულეგარე სულს არ შეეძლო წლების განმავლობაში მოწაფეები აღესარდა. მჭედლიშვილი კი პირიქით, თეატრების შესაქმნელად ახალ მასალას იღებდა, სტუდიებს ქმნიდა, თავის პრინციპებზე ზრდიდა მიმავალ მსახიობებს და ამ გზით აპირებდა თავისი თეატრის შექმნას.

იმპროვიზაციის სტუდიის მიზანი იყო აღესარდა მსახიობი, რომელიც თავის თავში გაერთიანებდა დრამატურებსა და ორგანიზატორს. სტუდიის გახსნისას ერთ-ერთ ინტერვიუში მჭედლიშვილი ასე აცლიებდა თავის მოსაზრებას: „იმპროვიზაცია და იმპროვიზაციული მიდგომა არის საფუძველი მსახიობის აღზრდას და იგი უნდა ემსახურებოდეს არა მარტო მიღწევებს სუფთა იმპროვიზაციის დარგში, არამედ, უმთავრესად, უნდა იყოს ძირითადი მეთოდი საერთო სცენური და თეატრალური აღზრდას“.

სტუდიას საფუძვლად კომედია დელ'არტეს პრინციები ეკე იყვნენ ნიღბები, მაგრამ ისინი არ იყვნენ თანხელან-თქმული ტრუფადონი, არლკანი, პირიკლა... მათ მსახიობს როგე საზე ქმნიდათ მიცემული. მჭედლიშვილი ცდილობდა

ისევე, როგორც ოდესღაც თვით კომედი ადელარტემი, აესახა თანამედროვეობის მტკივნეული საკითხები.

სექტაკლები ორი სახის იყო — პირველი *incodnito pre-
parate* იყო სექტაკლები წონისწარის სიუჟეტით. სიუჟეტს
თვით სტუდიელები წერდნენ, ხოლო მოქმედების განვითარება
კი უკვე ნიღბების უნაზრე იყო დამოკიდებული ასეთი სექ-
ტაკლები საჩვენებლად იყო გამიზნული.

მეორეს *incodnito pur'y-s* შემქმნელად რუსეთში თვით
მჭედლიშვილი ითვლებოდა. აქ არ იყო არავითარი სიუჟეტი.
არ იყო დადგენილი, ვინ მიიღებდა მონაწილეობას სექ-
ტაკლში, ორი ან სამი ნიღბი იწყებდა იმპროვიზირებას.
დარბაზიდან ყველა სტუდიელს (რომელიც იმ დროს მაყუ-
რებლის როლში იყო), შეეძლო ამდგარიყო, ჩარეულიყო მათ
საუბარში, გაეგრძელებინა მოქმედება. ამას დიდი უნარი და
გარჯობა სჭირდებოდა და ამიტომ მჭედლიშვილიცა და სტუ-
დიელებიც *pur'y-s* შეტი გატაცებით მუშაობდნენ.

სტუდიას თავისი პირველი საჩვენებელი სექტაკლი მჭედ-
ლიშვილის სიკვდილის შემდეგ დადგა. მაგრამ ეს მაინც მჭედ-
ლიშვილის პირნიკია იყო. შემდეგ სტუდიის ბაზაზე შეიქმნა
თეატრი „სემპროანტო“.

მეორე ხნის არსებობის მიუხედავად, სტუდიამ დიდი როლი
შეასრულა იმ დროის თეატრალურ ცხოვრებაში. „მწიკია ახლა
რუსული იმპროვიზაციის წუთმეფელის და მამის ვ. ლ. მჭედ-
ლიშვილის დამსახურების შეკამება, რადგან მისი ამაგი დაუ-
ფასებელია. ის პირველი მიხვდა, რომ იმპროვიზაციის თეატრის
აღორძინებისათვის არ არის საკმარისი ძველი ტრადიციებისა
და კანონების აღდგენა და განახლება. აუცილებელია ახლებურ-
ი, თავისებური აღზრდა ახალგაზრდა მსახიობებისა... ის
პოულობდა და ამუშავებდა თეატრალური სახასიათის ახალ სა-
ხეს (ა. რუდენიევი „Северная Маска“ — 1925 წ. № 1
გვ. 10).

გასტანგ მჭედლიშვილი საკუთარი სტუდიების გარდა სხვა
სტუდიებშიც მუშაობდა. ასწავლიდა სახელმწიფო თეატრა-
ლურ ტექნიკუმში. მონაწილეობდა მიიღო აგრეთვე ებრაული
სტუდიის „პამბისის“ შექმნაში, სადაც დადგა ჰიმნისა პიესა
„მარადიული ურია“. მართალია, სექტაკლს ეროვნული ხა-
სიათის უქონლობას უსაყვედურებდნენ, მაგრამ ყველა აღიარ-
ებდა, რომ ეს იყო რეჟისორისა და სტუდიის დიდი გამარ-
ჯება.

მჭედლიშვილმა სიფოცლის ნახვარი გაატარა მოსკოვში.
აქ დაწყო და დასრულდა მისი შემოქმედება. ისტორიას იგი
რუსული თეატრის რეჟისორად შემორჩა... მაგრამ ეს დროისა
და შემთხვევის ბრალია უფრო.

ქართული თეატრი, მისი ბიჭი მუდამ აღივლებოდა მას. იმ
დროს არსებული თეატრი აღარ აკმაყოფილებდა და საქა-
თველოში ჭიშმირიტად თანამედროვე თეატრის შექმნა აუცი-
ლებლად მიიწინადა. ამისათვის სურდა მოსკოვში ჩამოეყალიბებ-
ინა ქართული სტუდია: აღეზარა მსახიობები, რეჟისორები,
მომღერლები, ჰედაგოგები... შეიქმნა თეატრი და შემდეგ უკვე
დასრულებული სახით ჩამოყვანა საქართველოში.

ჯერ კიდევ ადრე, 1909 წელს მჭედლიშვილმა, ალ. ვუწუ-
ნავაძის ერთად, აღძრა საკითხი საქართველოს დრამატულ
სასოფადოებასთან მოსკოვში ქართული სტუდიის შექმნის შე-

სახებ. სტუდიის ხელმძღვანელობას თვით სტანისლავეკი და
ნემროვიჩი-დანიევი პირდებოდნენ... მაგრამ დრამატულმა
სასოფადოებმა არამც თუ მჭედლიშვილს და ვუწუნავას, სტა-
ნისლავეკისა და ნემროვიჩისა კი არ გაუგებანა პასუხი.

ვ. მჭედლიშვილი ქართული სტუდიის შექმნის იმდენ მაინც
არასოდეს კარგავდა. ერთხანს მან შეკრიბა მოსკოვში მყოფი
ქართველი ახალგაზრდა მსახიობები და სცენისმოყვარეები და
თავის ბინაზე ამგადიდებდა. ესენი იყვნენ: ვერვიკი ანჯაფარო-
ვი, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი და ბევრი სხვა. „...ის წა-
მოწყვება მალე ჩამოვა. მსახიობები წავიდ-წამოვიდნენ. ამა-
ს შემდეგ მჭედლიშვილი წერდა: „სულით მსუნდ ვარ და ვოცნე-
ბობ ქართული სტუდიის შექმნაზე“.

1922 წელს, მეორე სტუდიის თბილისში გასტროლების
დროს ვასტანგ მჭედლიშვილმა კვლავ აღძრა სტუდიის შექმნის
საკითხი, მაგრამ სასოფადოების წაწილი სასტარო წინააღმდე-
გი იყო, რომ ქართული სტუდია მოსკოვში გახსნილიყო. მჭედ-
ლიშვილმა მაინც შესძლო ყველა დამბრკოლების გადალახვა და
1923 წელს მოსკოვში შეიქმნა ქართული სტუდია.

შესასრავი გამოცდები თბილისში, მწერალთა კავშირის
დიდ დარბაზში ჩატარდა. აქ თავი მოეყარათ მიიღო ქართული
გამორჩილი ხელფინი. გამოცდას მარჯანიშვილი და ანტონო-
ლი ესწრებოდა. ჯგუფი დაკომპლექტდა ფაოკავა სკუდიის
მოწაფეებისა და სცენისმოყვარეობა. უამრავ მსურველთა
შორის შეარჩევს ელ. ციხისაძე, შ. აღასაძე, ნ. გომიძევილი,
გ. ქარუთი, ალ. მიქელაძე, გრ. სულიაშვილი.

მჭედლიშვილმა პრესაში ასე განაცხადა: „...არჩილმა
პირიმა ამოაიკივია უნია კავითაოისწინონ. რომ იხინი იქნი-
ბიან არა მარტო აქტიობები, არამც, ჩინი გააბით. უორი
მალდა მოვინში, ასე ვიჭაოა, საწოჟადი მოღვაწეობი. ვინიანი
შე ვეფიქრობ, თეატრი მომავალში მიიღებს სულ ახალ, მოუ-
ლოდნელ ფორმებს, იგი ახალღებს, გაამდიდრებს და გაალა-
მავებს ცხოვრებას. (გაზეთი „მასტრინი“, № 4 1922 წ.).

სტუდიას სტაციონარში მჭედლიშვილის მიერ შექმნილ
„ქართული კულტურის სახლში“ ჰქონდა. ხელმძღვანელობას
თვით ნემროვიჩი-დანიევი უწევდა. მჭედლიშვილმა საუკე-
თესო პოდაგოგები მიიწვია სკუდიისაში. იგი სკუდიელებს მსა-
ხიობობისა და რეჟისორობის გარდა მომავალ პოდაგოგებადაც
ზრდობდა. რეჟისორებაც ამიერკავკასიის მჭედლიშვილი, ნე-
მროვიჩი-დანიევი, ტაიროვი...

მჭედლიშვილს კარგად ესმოდა, რომ ქართული მსახიობის
ხვანარი აღზრდა სჭირდებოდა, რათა მას თავისი ეროვნული
თვისებები არ დაეკარგა. ამავ დროს თით ყრბობისას აქ-
ცივდა რუსული და მსოფლიო კულტურის შესწავლის. სკოლის
წესდობაში იწვია „...ქართული სკუდია გულოთასში შიის-
წილის თეატრალური იდლოთაოის ყილა მომართობისას,
აირჩივს მისი ისტორიული განვითარების მონათესაე გზას,
რომელიც შეიძლება არ ემთხვეოდეს არც ერთ მათგანს“.

ეროვნულობას ადამიანის შინაგან ბუნებრივ იქითაა. უარ-
ყოფდა ვასტანგ ტკიშვარამისას. სკუდიელებს შინაგან ბუ-
ნების სიმართლით გამოეცივას ასწავლიათა, რათაან მიამჩნათა,
რომ ეს არის თავი და თავი აქტიორული შემოქმედობისა.
„...არტისტი — გიგი, არტისტი — შემპირანი, არტისტი —
ცეცხლოვანი, მართალია, აუცილებელი ატრიბუტია შემოქმედ-

მსახიობისათვის, მაგრამ ის ცარიელ პათეტურ სიტყვებად დარჩება, თუ კი მსახიობს არ ექნება ღრმა საფუძველი ტემპორიტად მხატვრული შემოქმედებითი პოტენციისა, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს თეატრი და მით უმეტეს ჩვენი ქართული თეატრი“ — (სტუდიის ხელნაწერი ჟურნალი „ზვავი“) — უთქვამს მჭედლიშვილს დურუჯელთა მანიფესტის წაკითხვის შემდეგ.

პირველ, სასიხე სამუშაოდ კარგი, დრამატულად სრულქმნილი პიესა უნდოდა მჭედლიშვილს. არჩევანი „ოტელოზე“ შეჩერდა. სტუდიელებს სხვადასხვაგვარი ნიჭი ჰქონდათ, ინტელექტიც... შექსპირის თამაში კი საკმაო გამოცდილებას მოითხოვდა მსახიობისაგან... რთული იყო მუშაობის პირობებიც...

ქართველი სტუდიელები იმპროვიზაციაშიც ვარჯიშობდნენ. ნიღბები ეროვნული ხასიათის მიხედვით იყო შექმნილი. სულ ოთხი ნიღბი იყო: ნაცარქექია, წუნია, ტრაბახა და ჩანგალა. ადგილობრივი ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციული და კომიკური ხასიათები ედო ამ ნიღბებს საფუძვლად. ქართულ ნიღბს შენარჩუნებული ჰქონდა არა მარტო ხასიათი და სუბიექტური ფსიქიკა, არამედ სახელები, ეროვნული და ყოფითი თვისებები. სამი მათგანი — ნაცარქექია, წუნია და ტრაბახა, როგორც ისტორიული ნიღბები, დიალექტზე ლაპარაკობდნენ, ხოლო ჩანგალა, როგორც თანამედროვე — წმინდა ქართულით.

სტუდიელები სწავლას წარმატებით ართმევდნენ თავს, სწორედ აქ გამოჩნდა მკვეთრად მჭედლიშვილის იმპროვიზაციის სტუდიის ქართული საფუძველი. რეჟისორისა და სტუდიელებისათვის იმპროვიზაცია მეტად ორგანული აღმოჩნდა. მათი სპექტაკლები ყოველთვის მზიარული, გონებამახვილური და მსუბუქი იყო.

ყველა ამ სამუშაოს, შოლვა დადიანის იუბილესთან დაკავშირებით, „გეგმუკორის“ I მოქმედება და „გუშინდელნის“ II მოქმედება დაამატა. ეს უნდა ყოფილიყო ქართველი ახალ-

გაზრდობის პირველი საჯარო გამოსვლა. მჭედლიშვილმა უბილეს ხელმძღვანელობდა და პარალელურად მეორე სტუდიასი სმოლინის „ელიზაბეტა პეტროვას“ დადგამაზე მუშაობდა.

...იბილედ ბრწყინვალე იყო. სტუდიელების გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

სულ მალე, უცნობად, გულის დაავადებით მჭედლიშვილი გარდაიცვალა, გარდაიცვალა ისე, რომ ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი, დაუმთავრებელი.

ალ. სუმბათაშვილმა ასეთი წერილი გაუგზავნა ნემიროვიჩ-დანენკოს: „მე ძალიან მიყვარდა ვახტანგ ლევანის ძე, მოსკოვში მისი ჩამოსვლის პირველი დღიდანვე და ყოველთვის დამარჩება საუკეთესო მოგონებანი ამ ჩვენს ახალგაზრდა, შრომისმოყვარე ნიჭიერ თანამემამულეზე“

ყოველგვარი სიტყვები უძლურია იმ საშინელი მდგომარეობის გადმოსაცემად, რომელიც ჩემში მისმა სიკვდილმა გამოიწვია“.

უამრავ გვირგვინთა შორის ერთს ასეთი წარწერა ჰქონდა: „ის აღამიანი იყო“...

ორმოცი წელი გავიდა ვახტანგ მჭედლიშვილის გარდაცვალებიდან. ბევრი რამ მოხდა მას შემდეგ ქართულ თეატრში, საყოველთაო აღიარება მოიპოვა მან. და თუმც მჭედლიშვილის დადგმული არც ერთი სპექტაკლი არ არის ჩვენი თეატრის ისტორიაში, მაინც მიუძღვის დიდი ღვაწლი მის შემწმასა და განმტკიცებაში. მჭედლიშვილის მოწოდებებმა, რომელთაც თეატრისადმი სიყვარული, ერთგულება და თავგანწირვა ასწავლა, ბევრი რამ გააკეთეს შრობილური თეატრისათვის.

ვახტანგ მჭედლიშვილის სახელი დღესაც ნაკლებადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. შეიძლება იმიტომ, რომ ისტორიას ფაქტებზე ლაპარაკი უყვარს. მჭედლიშვილი მომავალი უფრო იყო ჩვენს თეატრისა, მომავალი კი არ არის ფაქტი.





მ. ამირანაშვილი — მარგარიტა („ფალსტი“)

მელა ამირანაშვილი

მანანა ახმეტელი



აქარი ფალიაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე გაცხოველებული ინტერესით მიმდინარეობდა გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის სერგეი პროკოფიევის ოპერის „სემიონ კოტკოს“ რეპეტიციები. შემოქმედებითი კოლექტივი, რომელიც სრულიად ახალი ამოცანის წინაშე იდგა, დიდი ენთუზიზმით მუშაობდა თანამედროვე მუსიკის ერთ-ერთ მაღალმხატვრულსა და რთულ საოპერო პარტიტურაზე. ოპერა თითქმის შესწავლილი იყო, როდესაც ახალგაზრდა მომღერალი მედეა ამირანაშვილი შეუერთდა დასის სხვა მონაწილეებს და მისთვის

ჩვეული ენერგიითა და გატაცებით შეუდგა სოფიო ტჯანჩიკის ვოკალურ-სცენური სახის შესწავლას. მსახიობი დიდი სიმძნელების წინაშე აღმოჩნდა: შედარებით მოკლე ვადაში დაუფლებოდა პროკოფიევის რთულსა და თავისებურ ვოკალურ სტილს და მოეცა ამ გმირის სწორი და საინტერესო სცენური გააზრება. დაიწყო ახალი მხატვრული სახის ჩამოყალიბების პროცესი. თვითული რეპეტიცია წარმოადგენდა დაინერგულსა და თავდაუზოგველ შემოქმედებით ბრძოლას, გულმოდგინე აქტიურული ძიების თვალსაჩინო ნიმუშს. და მ. ამირანაშვილმა კვლავ მოიპოვა შემოქმედებით გამარჯვება. ამ კონკრეტულ მაგალითში, შრომისუნარიანი მსახიობის შეუპოვრობასა და ქმედითობაში ისაზევა ის თვისებები, რომელნიც განსაკუთრებით ხელს უწყობენ მ. ამირანაშვილს თავისი მდიდარი ვოკალურ-სცენური ნიჭის ზრდასა და დაოსტატებაში.

მ. ამირანაშვილი ისეთი კატეგორიის შემოქმედი, რომელიც სცენაზე ყოველთვის აქტიურული გარდასახვის პროცესშია, მაგრამ ამავე დროს არასოდეს არ ჰკარგავს თვითკონტროლის უნარს. მისი არტისტიზმი გამოირჩევა ფართო ემოციური დიაპაზონით, ტემპერამენტული და მგზნებარე შემოქმედებითი ბუნებით. მაგრამ მკაცრი თვითანალიზით მას ეძლევა თავისი მრავალფეროვანი ვოკალურ-სცენური მონაცემების მართებული რეგულირების საშუალება, რის გამოც მ. ამირანაშვილის აქტიორული ინდივიდუალობა ღირსშესა და მგზნებარების, ტემპერამენტისა და თავდაჭერილობის, შეუპოვრობისა და ნებისყოფის თანაფარდობაშია გამოსახული. ამითვე აიხსნება შოშიერების ის ალლო, რომელსაც მ. ამირანაშვილი ამჟღავნებს

თავის გმირების მხატვრული სახეების წარმოსახვისას. არსად, არც ერთ სცენურ სიტუაციაში, არც ერთ კულმინაციურ მომენტში იგი არ ძლევდა გადაჭარბებულ ემოციურობას ან გაზვიადებულ მეტრობიარობას. საკმარისა მოვიფიქროთ ბატონფლანსისა (პუჩინის „ჩიო-ჩიო სანი“) და ვიოლეტას (ვერდის „ტრაიკატა“) ტრაგიზმით აღსავსე ფინალური სცენები, ან კიდევ მარის (ზ. ფლინაშვილის „დაისი“) სასოწარკვევილი გოდება და აშკარა გახდება მ. ამირანაშვილის თავშეკავებული და შთამბეჭდავი მანერა, ახალგაზრდა მხასიომის შემოქმედებითი სიმწიფის მაჩვენებელია აგრეთვე ის, რომ ამ ბოლო ხანებში იგი ახერხებს სულ რამდენიმე გამომსახველი შტრიხით სცენური სახის სკულპტურული კონტურების შექმნას. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა ლეონორას პარტიაში ვერდის ოპერიდან „ტრუბადური“.

თავის გმირების მხატვრული ხასიათის შექმნის დროს მ. ამირანაშვილი მისიწრაფვის სცენური სახეების ინდივიდუალიზაციისკენ, თავისუფალია ყოველგვარი სცენური შტამისა და გაომსახვის ხერხების ერთფეროვნებისაგან. მის სწორად აქვს მიგნებული პერსონაჟების ინდივიდუალური ემოციურ-ფსიქოლოგიური თვისებები, ღრმად სწვდება მათი გმირბუნების სამყაროს. ამიტომაც, რომ იგი იძლევა სპეციალ და ფაქიზი მაროს („დაისი“), შუუპოვარი და სათნო შიას („მინდია“) კეთილშობილი და ერთგული ბატონფლანსის (პუჩინი „ჩიო-ჩიო-სანი“), სუსტი და ფაქიზი მიმის („ბოჰემა“), თავისუფლების მოტრფილ ნედას („ჯამბაზები“), ახალგაზრდული ოცნებითა და უშუალობით აღსავსე ტრაქიანას („ევენი ონეგინი“) და სხვა საოპერო გმირების საინტერესო განსახიერებას. მაგრამ მხატვრული სახეების რთული ევოლუციის პროცესში აშკარად იკვეთება ერთი საერთო თავისებურება, რომელიც მ. ამირანაშვილის აქტიური ბუნების ტიპურ თვისებად შეიძლება მივაჩნიოთ. ლირიკული გმირების სუელი დრამას იგი ხმის დიდი ექსპრესიითა და დრამატული პათოსით. იქნებ ამიტომაც, მ. ამირანაშვილი უფრო დრამატული პლანის ხელოვანია, ვიდრე ლირიკული. თუმცა არტისტული ბუნების ეს თავისებურება არ არის დამასათათებელი ლირიკული სოპრანოს სპეციფიკისათვის. ამ შეუსაბამობათა ერთიანობას მომდერალი აღწევს დიდი საშემსრულებლო კულტურისა და მაღალი პროფესიონალიზმის ხარჯზე. მ. ამირანაშვილის სასიამოვნო ტემპრის სოპრანოს მღერადობის თავისუფლებას არ ბოჭავს რეგისტრული სიმაღლე, მისი ხმის ბგერათა პალიტრა მდიდარია და ნაირფეროვანი. ფაქიზია და გულში ჩაშვდომი მ. ამირანაშვილის ხმის დაბალი და საშუალო რეგისტრი, თავისუფალია და ანკარა მაღალი რეგისტრის ბგერები. მაგრამ ყველაფერ ამასთან გადაამწყვეტია ოსტატობა, რომელსაც მიმდერალი თავისი ვოკალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოფინების დროს აშეღანებს. ხმის პლასტიკურობა და კანტილენა, დახვეწილი ფრაზირება და ნიუანსირება, ბგერისა და ინტონაციის გააზრებულად გადმოცემა, ფილიგრანობა და გამოკვეთილი დიქცია მაჩვენებელია მომღერლის მუსიკალური ნიჭიერებისა და მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებისა. ამგვარი ოსტატობის საშუალებით მ. ამირანაშვილი თავისუფლად ეუფლება კოლორატურული სოპრანოს რთულ პარტიებსაც. ამ მხრივ ნიშანდობლივია მომღერლის მიერ როსინის

„ტრანტელას“ ბრწყინვალე შესრულება, ვიოლეტას პარტიის „ტრაიატადან“ და სხვა. მაგრამ, მხოლოდ ოსტატობას ვერ მივაწერთ მ. ამირანაშვილის ვოკალური მონაცემების მაქსიმალური გამოფინების უნარს. იგი ჩინებულად ფლობს არა მარტო ვოკალს, არამედ მხატვრული გამომსახველობის მივლ თავის აპარატს, ფიზიკურს და სულიერ შესაძლებლობებს. სწორედ ამიტომ, მ. ამირანაშვილი ყოველთვის შემოქმედებით ფორმაშია, მკაცრად ორგანიზებული აქვს თავისი ვოკალურ-სცენური გამომსახველობის საშუალებანი, რის გამოც სწრაფად ეძლევა სცენური გარდასახვის პროცესს. პრემიერა, რიგითი სპექტაკლი თუ კონცერტი, მ. ამირანაშვილი ერთიანად დიდი პასუხისმგებლობით წარსდგება მკაცრი მოთხოვნილების მკაცრ რებლის წინაშე. არტისტის ამ ღირსებაში მკაფიოდ იკვეთება მ. ამირანაშვილის პიროვნული ინდივიდუალური თვისებები. ეს არის ე. წ. „მესამე ხელოვნება“, რომლითაც იგი იმორჩილებს და ანციფრებს მრავალრიცხოვან მსმენლებს.

მ. ამირანაშვილის პროფესიონალიზმი აშკარად ჩანს სხვადასხვა შემოქმედებითი მიმართულების კომპოზიტორთა საოპერო პარტიების შესრულებისას. იგი გატაცებით სწავლობს სხვადასხვა პერიოდის და შემოქმედებითი სტილის კომპოზი-

ლეონორა — მ. ამირანაშვილი, მანრიკო — ნ. ანდლუპიკი („ტრუბადური“)



ტორთა საოპერო და კამერულ ქმნილებებს. მისი რეპერტუარი შედგება ქართული, რუსული და დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ნაწარმოებებისაგან. მის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი დათმობილი აქვს ვერდის, გუნოს, პუჩინის, ლენკაგალოს, ჩაიკოვსკის, პროკოფიევის, ფალაშვილისა და ო. თაქთაქიშვილის ოპერებს. ცნობილია, რომ ვერდის მუსიკალური დრამები, გუნოს ლირიკული ოპერა, პუჩინისა და ლენკაგალოს ვერისტული დრამატურგია, ჩაიკოვსკის ფსიქოლოგიურ-რეალისტური, პროკოფიევის ქემშირიტად ნოვატორული, ფალაშვილისა და ო. თაქთაქიშვილის ეროვნული ოპერები ერთ მანეთისაგან გამოირჩევიან, როგორც დრამატურგიული პრინციპების სხვადასხვაობით, ისე ოპერის ვოკალური ქსოვილის სტილისტური თავისებურებითაც. ასალგაზრდა მომღერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ინტუიციით გრძობს ამა თუ იმ ოპერის სპეციფიკურ სტილისტურ თვისებებსა და კომპოზიტორის ინდივიდუალურ ხელწერას. იქნება ეს კანტილენური არიები, რეიტატული თხრობა, ვირტუოზული ვოკალური ეპიზოდები თუ საანსამლო მომენტები მ. ამირანაშვილი მაქსიმალური გამომსახველობით გადმოვცემს კომპოზიტორის შთანაფეთქს.

მ. ამირანაშვილის არტისტული ბუნების განვითარებასა და მხატვრული გემოვნების დახვეწას დიდად შეუწყო ხელი მისი მშობლების შესანიშნავმა მუსიკალურმა ტრადიციებმა. მედეას

მ. ამირანაშვილი — ბატერფლაი („ჩოჩი-ჩოჩი-სანი“)



დედის, ცნობილი ქართველი მომღერლის ხადედა ცომაიას-ხახელთანა დაკავშირებული ქართული საოპერო ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი. ნ. ცომაიას იშვიათი ვოკალური მონაცემები და სანატრესოდ განსაზღვრული სცენური სახეები ქართული საზოგადოების საყოველთაო აღტაცებას იწვევდა. მაყურებელს დღესაც ასობევს ნ. ცომაიას მიერ შესრულებული დარჯანის („დარჯან მცხეთი“), ნანოს („დაისი“), თამარ მეფის („შოთა რუსთაველი“), ამერიისის („დაიდა“), დალიას („სამსონ და დალილა“), გრაფინიას (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“) და სხვა პარტიები.

მედეას მამა, სახელოვანი ქართველი მომღერალი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, პეტრე ამირანაშვილი 35 წელია ემსახურება ქართულ საოპერო ხელოვნებას. მ. ამირანაშვილი აღასვავა შემოქმედებითი ენერჯითი. მის ტემპერამენტსა და მდიდარ ვოკალურ შესაძლებლობებს ასაკი არ შეშინებია. მ. ამირანაშვილის ასეთი სანგრძლივი შემოქმედებითი უნარიანობა უკრებენდენტო შემთხვევაა საბჭოთა საოპერო ხელოვნების ისტორიაში. იგი დღესაც ტაბუკური უშუალოდობით და ასალგაზრდული მგზნებარებით ჩინებულ პარტიორობას უწევს თავის სახელოვან ქალაშვილს.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დავაწლი, რომელიც მიუძღვით მ. ამირანაშვილის ვოკალურ დოსტატებში ქართულ ვოკალური ხელოვნების ამავდარებს, ჯერ ცნობილ მომღერალსა და პედაგოგს ო. ბახტაშვილ-შულგინას, ხოლო შემდეგ სახელანთქმულ მომღერალს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს სანდრო იმავილს. მათ ხელმძღვანელობით ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში (1949-1954) მედეა ამირანაშვილი წარმატებით ეუფლებოდა ვოკალური ტექნიკის მიფერ არსენალს.

მ. ამირანაშვილის მუსიკალურ-ვოკალური და აქტიორული ზრდა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან შეინიშნება. 1952 წელს შესამებ კურსის სტუდენტი მ. ამირანაშვილი გამოდის კონსერვატორიასთან არსებული საოპერო სტუდიის სცენაზე. მარისის პატარა, მაგრამ კოლორიტული პარტია „ამესალომ და ეფრეში“ მისი პირველი შემოქმედებითი გამოცემა იყო. როლის სიმყვირის მიუხედავად, გამომღვანდა საოპერო მომღერლის შესაძლებლობანი. პრესამ ერთხმად აღნიშნა მ. ამირანაშვილის „შესანიშნავი ვოკალური მონაცემები და მაღალი სცენური ნიჭიერება“. საოპერო სტუდიის სცენაზე მედეამ თავი ისახელა მეორე დადამაშვი. ტემპერამენტული და ფიციხი ზემოწიას სახე რახმანიოვის ოპერიდან „ალეკო“ ახლობელი აღმოჩნდა მსახიობის შემოქმედებითი ბუნებისათვის. მაყურებელი მოიხიბლა მ. ამირანაშვილის გამომსახველი თამაშით და სიმღერის ემოციორობით.

1954 წელს ასალგაზრდა მომღერალმა წარმატებით შესარულა მარგარიტას პარტია „ფუსტში“. ეს იყო მისი დებიუტი ნ. ფალაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. დებიუტის შემდეგ იგი საოპერო დასის მოლისტად ჩაირიცხა. ამ დროიდან დაიწყო მ. ამირანაშვილის დაულალავი მუშაობა, ყოველდღიური და დაუცხრომელი შემოქმედებითი წრითობა, რამაც მას წარმატება და მოპულარობა მოუპოვა.

მ. ამირანაშვილის, როგორც მომღერლისა და აქტიორის

ზრდისა და ფორმირების პროცესი დიდი ინტენსივობით ხასიათდება. ყოველ ახალ პარტიასა და საექტაკოს შემოქმედებითი გამარჯვებები მოაქვს ნიჭიერი მსახიობისათვის.

საგულისხმოა, რომ ჩვენს თეატრის სცენაზე ამ ათი წლის მანძილზე (1954-64 წ.წ.) არ განხორციელებულა თითქმის არც ერთი საპიერო დადგმა, რომელშიც მ. ამირანაშვილს არ შეეჭმნას საინტერესო და შთამბეჭდავი მხატვრული სახე. საკმარისია თვალს გადავაჯვალთ მსახიობის მიერ შექმნილი პერსონაჟების დიდდარ გალერეას, რომ ცხადი გახდეს მ. ამირანაშვილის მხატვრული ინტერესების მრავალმხრივობა და შემოქმედებითი ნაყოფიერება.

მ. ამირანაშვილის შემოქმედებაში ვოკალურ-სცენურ ხელოვნებათა მთლიანობის თვალსაზრისით ყველაზე სრულყოფილი და მაღალმხატვრული აღმოჩნდა ლეონორას პარტია „ტრუბადურიში“. მასში განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა მსახიობის დრამატული ტემპერამენტი და ინდივიდუალური არტიკული ბუნების სხვა მონაცემებიც. ლირიზმი და მეზნებარება, კდემამოსილება და რომანტიკული მღელვარება, ტემპერამენტი და ნებისყოფა განსაკუთრებული ოსტატობით ჩაქსოვილია მხატვრული სახის ზომიერებასა და მთლიანობაში. „ტრუბადური“ სოციალური უსამართლობის მღელვარე ტრაგედიაში კომპოზიტორმა შექმნა ორი მძლავრი და თავისებური მხატვრული სახე. დაზარულთა ბელადი, ნიჭიერი პოეტი ტრუბადური მანრიკო და უჩვეულო, ძლიერი ვნებებით აღსავსე ბოზა ქალი აზუჩენა.

ოპერაში მანრიკოსა და აზუჩენას გვერდით ლეონორას სახე შედარებით ტრადიციულია, მაგრამ მ. ამირანაშვილის ლეონორა იმდენად შთამბეჭდავია, რომ იგი ღირსეულად მხარს უსწორებს მანრიკოსა და აზუჩენას სახეების თვითმყოფადობას და ოპერის ძირითადი დრამატული სიტუაციის ცენტრშია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოპერის IV მოქმედების ტრაგიკული სცენა miserere-ით, რომელსაც მომღერალი ვოკალური გამოხასხველობით, ემოციური ზემოქმედებითა და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით ატარებს. „ტრუბადურიში“ გამოიკვეთა მ. ამირანაშვილის ოსტატობა საანსამზღო ეპიზოდებში. ცნობილია, რომ ვერდის ოპერებში ანსამბლებს დიდი დრამატურული ფუნქცია აკისრიათ. ისინი გამოირჩევიან დრამატული სიმძაფრითა და დინამიკურობით, გამომსახველობითა და ვოკალური პარტიების მკვერი დიფერენციაციით. ამ ანსამბლებში მ. ამირანაშვილი ამქვავებს ჩინებულ პარტნიორობის თვისებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტერცეტი I მოქმედებიდან (დი ლუტა, მანრიკო, ლეონორა) და ლეონორას და დი ლუტას ტერცეტი III მოქმედებიდან. აქვე აღსანიშნავია პროკოფიევის ოპერის „სემიონ კოტკოს“ III მოქმედების რთული ანსამბლები.

სულ ცოტა ხნის წინ მომღერალმა შეისწავლა ვერდის მეორე ოპერა „ტრავიატა“. მ. ამირანაშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიამ ვიოლეტას პარტიის შესრულება განიხილება, როგორც ესპერიმენტი, მომღერლის ვოკალური და სცენური მონაცემების წრთობის ნიმუში. მართალია, მ. ამირანაშვილის ვიოლეტა არა დგას სრულყოფის იმ სიმაღლეზე, რომელზედც ლეონორა, მაგრამ აქ ვხვდებით ისეთ მაღალმხატვრულ მომენტებს, როგორც არის ვიოლეტასა და ჟერმონის შეხვედრის სცენა II მოქმედებაში, სადაც კვლავ გამოიკვეთა მო-



მ. ამირანაშვილი — მარო („დაიოს“)

ღერლის დრამატული შესაძლებლობები. ამაღლებულა და ბუნებრივად გადმოვიცემს მ. ამირანაშვილი ვიოლეტას მრავალფეროვან განცდებს: სულიერ მღელვარებასა და პრეტესტს, ეჭვებსა და სასოწარკვეთილებაში გადაზარდილ კეთილშობილურ გადაწყვეტილებას. მსახიობმა დიდი ოსტატობით და ბუნებრივობით უნდა გადმოსცეს ვიოლეტას სახის რთული გარდაქმნა ბრწყინვალე კურტიანული ქალიდან კეთილშობილსა და თავდავიწყებამდე მოსიყვარულე ადამიანად. ასევე რთულია ვიოლეტას ვოკალური პარტია, ვინაიდან იგი შემსრულებლისაგან მოითხოვს ვირტუოზობასა და ფილიტანულ ოსტატობას, ხმის პლასტიკურობასა და კანტლენას, ემოციურ გამომსახველობასა და მაღალ გემოვნებას. ეს სირთულეები მ. ამირანაშვილმა დასძლია მით უფრო, რომ ვიოლეტას ვოკალური პარტია დაწერილია კოლორატურული სპრანსოსავის. ამ პარტიის შესრულებით მომღერალმა შეძლო თავისი ხმის ვირტუოზული შესაძლებლობების დემონსტრირება. ყურადსაღებია ისიც, რომ ვირტუოზობა მომღერლისათვის არ წარმოადგენს თვითბიზნს, თავისი საშემსრულებელ ტექნიკის ჩვენებას. მის ვოკალურ ოსტატობას თან ახლავს განწყობილებათა ნაირფეროვნება და გულში ჩაშვდომი მგერადობა. მაგრამ ვიოლეტას პარტიის შესრულება არ არის უზადო. იგი მოითხოვს შემდგომ დახვეწას როგორც სცენურად, ისე ვოკალურად. განსაკუთრებით ეს სასურველია ოპერის პირველ მოქმე-



ბეტერ და მელეა ამირანაშვილები

დებამო, სადაც შეინიშნება, მხატვრული სახის ვაფერმკრთალებისა და ვოკალურ-სცენური გამომსახველი საშუალებების შესრულების მომენტები.

შესაძლოა მ. ამირანაშვილის დრამატული ნიჭის ხაზგასმამ ცალმხრივ შეფასებამდე მივყავანოს, ვინაიდან მომღერალს არანაკლები გამომსახველობითა და პოეტურობით ჰყავს განსახიერებელი არა ერთი ფაქტის ლირიკული პერსონაჟი. მარგარიტას („ფაუსტი“), ტატიანას („ვეგენი ონგინი“), მიქაელას („კარმენი“) და იოლანტას („იოლანტა“) როლების გულწრფელად შესრულება მოწმობს მ. ამირანაშვილის ფართო ემოციურ დიაპაზონს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ზემოთ დასახელებულმა სამმა როლმა დიდი საზოგადოებრივი რესონანსი მძივდა. ამ პარტიებით ეწეოდა მ. ამირანაშვილი პოლიონოსსა და ჩეხოსოფიას, სადაც ადფრთოვანებელი ოვაციებით შეხვდნენ და შესანიშნავი რეჟისორებით გამოეხატურნენ მის გამოსვლებს. საკმარისია გავვინთო კომპეტენტური რეჟისურების შთაბეჭდილებებს, რომ თვალსაჩინო გახდეს მსახიობის დიდი წარმატება. პრადის ცენტრალური გაზეთი „რედუ პრაოდ“ წერდა: „ტატიანას პარტიას საქართველოს დამსახურებული არტისტის მელეა ამირანაშვილის შესრულებით შესანიშნავია. მომღერალმა უდიდესი ემოციური სიღრმით, ხმის ბრწყინვალე ტექნიკით მონიბლა მსმენელი. როგორც ვოკალური, ასევე დრამატული თვალსაზრისით იგი თანაბრად ძლიერია. ტატიანას როული პარტიის შესრულება პრადის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაუეწიყარი იქნება“. გაზეთი — „პრად“ დასძინდა: „ქართველმა მომღერალმა მოგვიხალა თავისი ხმით, შესანიშნავი სიმღერითა და არტისტობით. იგი ისტატულად გადმოგვეცხა ყოველ ფრასას, ყოველ ექსტს. მისი ახალგაზრდული გარეგნობა საუცხოოდ ესაშება ტატიანას სახეს“. ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევს მ. ამირანაშვილის გამოსვლებს გაზეთი „კვირნი პრად“, რომელიც მას ბრწყინვალე ტალანტით დაჯილდოებულ მომღერალს უწოდებს. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი იან კერდა აღტაცებით აღნიშნავდა: „ქართველ მსახიობ მომღერალს ყველა ის მაღალი თვისება აქვს, რაც ექსტრა კლასის საოპერო ხელოვანს მოეთხოვება“. აღსანიშნავია, რომ ტატიანას პარტიის შესრულების პრადის საზოგადოებამ, ნიშნად დიდი ადფრთოვანე-

ბისა, ახალგაზრდა ქართველი მომღერალი დაფნის გვირგვინით შეამკო. ხოლო ოპერა „ფაუსტის“ დამთავრების შემდეგ მ. ამირანაშვილი ოპერა გამოიძახეს სცენაზე. არანაკლები მოწონება დაიმსახურა მსახიობის მიერ მომხიბვლელად განსახიერებულმა მიქაელამ („კარმენი“), რაც გაზეთმა „ლიდოვა დემოკრატეში“ ასე შეფასა: „მ. ამირანაშვილი უბადლო ნიჭის მომღერალია. დიდებული ხმა, შესანიშნავი მსახიობური ოსტატობა მისი შემოქმედების ძირითადი ნიშანსავეტია“.

ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა მომღერლის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მშობლიურ ქართულ საოპერო ხელოვნებას მ. ამირანაშვილი დიდი გულმოდგინებითა და სიყვარულით ეუფლება ქართული კლასიკური მუსიკის საოპერო შედეგებს. 1957 წელს იგი პირველად გამოიღო მართს როლში („დაისი“) მართ ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრულყოფილი და მოხიბვლელი პერსონაჟი ქართულ საოპერო ხელოვნებაში. იგი გამოირჩევა ქალური სინაზითა და ტრაციით, კეთილშობილებითა და სისხეტაკით. მ. ამირანაშვილი ღრმად ჩასუვდა ამ პერსონაჟის სათნო, ლირიკულ ბუნებას, გაიზიარა მისი მღვდვარე ფერები, მწკავდელ განიჭადა მართს სიყვარულის ტრაციული ხვედები. ოპერაში მართს მხატვრული ღრმად ჩასუვდა ამ პერსონაჟის ექსპონირების ძირითადი მომენტია II მოქმედების რეჟიტაკტივი და არია-ნოქტიური „შუქურ-ვარსკვლავი“. თავისი მელოდორითადა და ემოციური ზემოქმედების ძალით ეს არია ერთ-ერთ ყველაზე მაღამხატვრულ ფურცელს წარმოადგენს ქართულ საოპერო ლტერატურაში. მას საფუძვლად უდევს ქალაქური რომანსული ტიპის რომანტიკური მელოდია; რომელიც მომღერლისაგან გემოინება, დიდ განცდასა და, რაც მთავარია, ვოკალურ გამომსახველობას მითითებს. საკმარისია შემსრულებელმა დადაჯარბოს ზომიერაბას, რომ ეს დიდაკავავს პოეტურ მომხიბვლელობასა და სიფაქივს. მ. ამირანაშვილი ამ ამაღლებული სიყვარულის ელევგის ასრულებს თავისუფალი და გულწრფელი სიმღერით, რომანტიკული აღვზნებითა და შინაგანი დაძაბულობით. განსაკუთრებული სიღლიერით ატარებს მ. ამირანაშვილი მართს ფინალურ სცენას. მის მიერ ჩინებულად შესრულებული ტირილი ვოკალური გამომსახველობის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს.

ახალგაზრდა მომღერალი დიდი ენთუზიაზმით ეცნობა აგრეთვე თანამედრულ საბჭოთა ქართული კომპოზიტორების საოპერო პარტიტურებსაც. მართისა და მართს სახეობთან ერთად მან საინტერესოდ განასახიერა განმითხარისის („ა. კერესელიძის „ბურუა“), თინასა და ნინოს („ა. ბუკის „დაუპაკიეებული სტუმრები“ და „არსენა“), ნანას („გაბიჭავასი „ნანა“), მუიას („ო. თაქაიეშვილის „მინდია“) პარტიებით. თავისი მუსიკალურ-ვოკალური გამომცდილებით, მომხიბვლელი არტისტობით, მაღალ პროფესიონალიზმით და ახალგაზრდული უშუალოებით იგი ქმნის ამ გვირგვინს მეტყველ სახეებს.

მ. ამირანაშვილის დიდ შემოქმედებით გაპარყვებულა უნდა ჩათვალოს მუიას პარტიკა ო. თაქაიეშვილის საყუველოთაოდ აღიარებულ ოპერაში „მინდია“. მ. ამირანაშვილი თანამედროვე ქართული საოპერო ხელოვნების წარმატებათა აქტიური მონაწილეა.

ზ. ფლანაშვილის სახელობის საოპერო თეატრის ისტორი-

ამი უდაოდ ახალი და მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაწერა დიდი საბჭოთა კომპოზიტორის სერგეი პროკოფიევის ოპერის „სემიონ კოტკოვს“ საინტერესო დადგებით. შემოქმედლებითი კოლექტივისათვის, რომლის რეპერტუარი ძირითადად შემოფარგლულია კლასიკური საოპერო ლიტერატურით, პროკოფიევის ნოვატორული პარტიტურის შესწავლა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ოპერა „სემიონ კოტკოვ“ თანამედროვეობის მიღწევად თემატიკის მაღალმატრულ განსახიერებას იძლევა. მაგრამ ოპერა ნოვატორულია არა მარტო აქტუალური თემატიკითა და იდეებით. არამედ საოპერო დრამატურების პრინციპებით. დინამიკური სცენური სიტუაციებით, მრავალმხრივი და მკვეთრად ინდივიდუალიზირებული მხატვრული სახეებით, სასიმღერო ფორმებით, თვითმყოფადი რიტმონ-ინტონაციური მიმოქცევებით, ორიენალურ, პროფოფიევისებური კარმონითა და მელოდიკით. პროსულ ტექსტზე აღმომყვანილი დიალოგური და რეჟიტატიულ-დეკლამაციური ვოკალური სტილის ათვისებაში იყო ის ძირითადი სირთულე, რომელიც ოპერის კოლექტივმა და კერძოდ მედია ამირანაშვილმა წარმატებით დახსნია.

მეორეს მხრივ ოპერა „სემიონ კოტკოვ“ გამოირჩევა საოცარი თეატრალიზებით. აქ მხედვებით ისეთი კონტრასტების ორგანულ თანაარსებობას, რეგორივ არის ლირიზმი და გროტესკი, იუმორი და ტრაგიზმი, ჯანსაღი ყოფიერება და რთული ფსიქოლოგიური სიტუაციები. სწორედ ამ თეატრალიზაციისა და მეორე სირთულე, რომლის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ხალხს აქტიურული ნიჭით. სოფიო ტკანევის როლის შესრულებით მ. ამირანაშვილმა კიდევ ერთხელ ცხადყო თავისი არტისტული ბუნებისა და მხატვრული ინტერესების ცხოველყოფილობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მსახიობში მანამდე გამოუვლინებელი გონებამახვილობა და იუმორის გრძნობა.

ახალგაზრდა მომღერლის შემოქმედებამ ყურადღებას იქცევს აგრეთვე მისი საკონცერტო მოღვაწეობაც. მ. ამირანაშვილი ამ სფეროშიც იწინა დამოუკიდებელ ნიჭს. მისი რეპერტუარი შედგება მრავალფეროვანი ნაწარმოებებისაგან. იგი მთავარნიჭითა და აღმაფრენით ასრულებს ჰენდელის, მოცარტის, გლუკის, როსინის, შუბერტის, შუბანის, ლისტის, რიმ-

სკი-კორსაკოვის, არენსკის, გლაზუნოვის, რახმანინოვისა და სხვათა ქმნილებებს.

თავისი საკონცერტო გამოსვლებით მ. ამირანაშვილმა წარმატება მოიპოვა გლენკას სახელობის ვოკალისტთა კონკურსზე 1962 წელს. მისმა სიმღერმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. დიდი გამოხმაურება გამოიწვია მომღერლის გამოსვლებმა ახალ ზეზანდიასა და ავსტრალიაში. ქალაქ პერუს საქალაქო გაზეთი წერდა: „მომღერალ მ. ამირანაშვილს აქვს ლამაზი ტემპრის ხმა. იგი განსაკუთრებული სიმსუბუქით სძლევენ ყველა ვოკალურ სიმღერას. მომღერალმა მოგვაჯადოვა თავისი ხმით, შესანიშნავი სიმღერით და არტისტულობით“. მ. ამირანაშვილის კონცერტებით მოხიბული ავსტრალიელები აღიარებდნენ, რომ „...საბჭოთა მომღერალი მ. ამირანაშვილი იმორჩილებს მსმენელს. ასეთი მსახიობი ჩვენ არასოდეს გვინახავდა“.

ასევე ერთსულელონი მოწონებით და დიდი წარმატებით გამოდის მ. ამირანაშვილი ყოველ საგასტროლო მოგზაურობაში როგორც სოლო კონცერტებით, ისე საოპერო თეატრის კოლექტივთან ერთად.

მ. ამირანაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაში. სულ ცოტა ხნის წინ თბილისში ნიჭიერმა ახალგაზრდა დირაჟორმა გევი ამინაფარაშვილმა ჩამოაყალიბა ჩინებული კამერული ორკესტრი, რომელმაც თავისი პირველივე გამოსვლებით მოხიბლა მუსიკის მოყვარულები, რითაც ცხადი გახდა ამ ახალგაზრდა კოლექტივის მაღალი სამემსრულებლო დონე. მათი პროფესიული მომზადება. მ. ამირანაშვილი კამერული ორკესტრის ერთ-ერთი თვალსაჩინო მონაწილეა. იგი გატაცებით ასრულებს ჰენდელის, მოცარტისა და ფორეს ნაწარმოებს.

მედია ამირანაშვილის წინაშე დიდი შემოქმედებითი პერსპექტივაა. კლასიკოსთა ცნობილსა და თანამედროვე კომპოზიტორთა უცნობ საოპერო პარტიტურებზე, ახალი მხატვრული სახეების შესრულებაზე ოცნებობს მ. ამირანაშვილი. ვერდი, ვაგნერი, ჩაიკოვსკი, პროკოფიევი, გერშვინი და სხვა კომპოზიტორები მ. ამირანაშვილის ფართო შემოქმედებითი ინტერესების საგანს წარმოადგენენ. ნიჭიერი და დიდი შრომის უნარის მქონე შემოქმედი კიდევ ბევრს გააკეთებს ქართული მუსიკალური კულტურის შემდგომი წინსვლისათვის.



სცენა სპექტაკლიდან „სემიონ კოტკოვ“
სონია — მ. ამირანაშვილი, კოტკო —
ა. ჩაკვლიძე



როგმე დგომა, რითა ინსტრუქტაჟმე მივაფელთა. ამჟამ დოთის ჟე
 ლაგოთა არაოდენობა ერთჟე მეტი არ აღებატბოდჟა ეს ერთად
 ერთა მედგოთა ვახლოთ დეჟარსოლო ეუთჟე მაჟგარინი —
 სანტრედიის მედიოზი.

ესჟ სხვაგვარია სანტრედიის მუსიკალური სკოლის დღევანდელი
 სახე. აჟ 40-დედ მედიე ედღელჟა მუსიკალურ გახათლჟა; ფორ-
 ტეპიანის, ვიოლიანის, ჩელოს, და სხვ. ხოლო მათ აღზრდა-განათ-
 ლების 30-ზე მეტი მედიოტი ენსამბლი.

სასიხარულოა ისიტი, რომ სკოლამ მომჟამჟე მედიოგოთა უმეტე-
 სობა ამჟე სკოლის აღზრდილია, მათ შოთისაა ამჟამჟე სანტრედიის
 მუსიკალური სკოლის დირექტორი თორი შანიძე, სასწავლო სწავ-
 ლის ვაჟე ჯეუბელი, კაჟოჟეჟე დღეჟე, ნაშელა და ლენდოლა
 ენდოღი, თათარ მედიოტი, ბორის მეტერია, ხელე, დანსი,
 მოდჟეჟე კოთეჟე ახლადნათი, გოლენტიჟა ვაჟეჟე, დანარა რე-
 სია, და ეტეხიჟე, დარია აბხაზიჟე, ზელა კეპტელიანი, დლი ვა-
 შაძე, შოთეჟე გოჟოჟე და სხანი.

მუსიკალური სკოლის ბაზაჟე 1934 წელს სანტრედიისი გაიხსნა
 სასწავლო მუსიკალური სასწავლებელი, რომელსჟე ვარეჟეჟე მან-
 ძიხელ ხელმძღვანელობდა გრიგო ახიანიჟე. სასწავლებელმა მან-
 ლოდ რადენიჟე გამოიშვება მოსწორო და იგი დიოთერა სამაჟელო
 ომის დაჟეჟისი მოივლსაჟე დღეჟიბი.

სანტრედიის მუსიკალურ სკოლამ მიიღეს პირველი განათლჟა
 ზ. ფელიციოსის სკოლისა და ბავუბის თოღოთის სოლისტებმა,
 საქართველოს სსრ სახალხო არტისტები. ამაჟ წესისი ატორი
 და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ვიეი ტროიჯაძემ. აჟ
 სწავლობდენ მჟებე შანიძეჟი, სახელმწიველმა სიმეიხანს კვარ-
 ტეტმა სერგო შოთა, ვახტანგ და კოტე შანიძეების მომანოღობით.
 ც. წ. მჟებე შანიძეების კვარტეტი) სახელი ვიოთჟეჟე სამაჟელო
 ომის წინა პერიოდი. შემდგომი კვარტეტი დანიშლა სამაჟელო
 ომში ვახტანგ შანიძის დღეჟისი გამო.

ახლახან სახელმწიფო გამოქველბა „მუსიკამ“ გამოცეა ლე-
 ნინგარდელი მუსიკოსებისი ნ. რაჟენის წიხეი „საჟგოთა კმე-
 რი-ინსტრუმენტული ანსამბლი არტისტები“. ამ წესისი ატორი
 მოღოთობისი პირველი ჟარუთელა პირფოსოლო კვარტეტის მოჟაჟე-
 ლების — მჟებე შანიძეების შესახებ.

ისინი ახლჟ ნაყოფიერად მუშაობენ, რესპუბლიკის დამსახურე-
 ბული არტისტი სერგო შანიძე თბილისის ოპერისა და ბალეტის თე-
 ატრის კონცერტებისტერია, შოთა შანიძე — გ. სარჯაიფილისი სახ.
 სახელმწიფო კონსერვატორიის სიმეიხანი კათედრის დოცენტი, ხო-
 ლო კოტე შანიძე სახელმწიფო სამფიონური ორკესტრის სოლისტი.
 დომენტი შანიძის უმცროსმა ვაჟიჟეჟე თორი შანიძემ, წარჩინე-
 ნიბი დამაჟგოთა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, ისიტი
 მუსიკალურ სკოლას ზეჟეჟე სათაჟეჟე და მჟებეჟე ნაყოფიერ მედ-
 სოფერ მეჟამბისი უნჯა.

ამ სკოლის აღზრდილია შოთის უნდა დავაქსაღელი აგროჟეჟე
 თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის სასწავლო ნაწილის
 ვაჟეჟე შერა თოდე, მეთე მუსიკალური სკოლის პედაგოგი გოგოლა
 კონსერვატორია, კომპოზიტორები — ბორის ბოხუა და მანია ბერი-
 ცაჟილი, თბილისის ოპერისა და ბალეტის ორკესტრის სოლისტე-
 ბი — პავლე ყიფშიძე, რეჟაჟე ზურცილაჟე ბორის მეტერია და სხვ.
 რეჟაჟე ზურცილაჟე გ. სარჯაიფილისი სახ. სახელმწიფო კონსერვა-
 ტორიის სარეჟისტო განყოფილების დამაჟგოთის შემდეგ წარჩინე-
 ნიბი დამაჟგოთა აგროჟეჟე კეივის სახელმწიფო კონსერვატორიის
 სადირიჟორი განყოფილება, მეჟამბი დანიჟე დიოთერად
 თბილისის რადიოინსტრუმენტებისი სიმფიონური ორკესტრისი. ამჟე მე-
 შომის ორკესტრის სოლისტად ვაჟი ზურცილაჟე.

სანტრედიის მუსიკალური სკოლის ოცდამეხუთე აღზრდილია მი-
 ილო ფოხლისი მუსიკალური განათლჟა, რომელმეჟე მოსწავლემ—
 სასწავლო მუსიკალური განათლჟა. ამჟამჟე სახელმწიფო კონ-
 სერვატორიაში სწავლობს ექის სიუნიძეჟი, სხვაჟეჟეჟე მუსიკალური
 სასწავლებლები — 30 მოსწავლე.

სანტრედიის მუსიკალურ სკოლასთან ამჟამჟე არსებობს სავორო
 მუსიკალური განათლების სწავლების საბაზისი განყოფილება (ზო-
 გადსავსამანდელური სკოლაჟე მომწველკე). საგნობა-სადირიჟო-
 რიო სავორონიანო, ვიკატორ და ინსტრუმენტული განყოფი-
 ლებებჟე სკოლის პედაგოგთა ძალეჟიბი შეჟამბია ინსტრუმენტ-
 ტორი და კვარტეტი.

მუსიკალური სკოლის კოლექტივი შემოქმედებითი ზრუნვარებს
 აჟეჟისი ჟეჟისი, წილქეჟისი, ცხაკაი და ზეჟეჟისი ორგანების
 მუსიკალური სკოლის კოლექტივიან. მათ შოთის მეტად მჭიდრო
 შემოქმედებითი კავშირია დამაჟგოთელი სკოლის ჰედაგოგთა და
 მოსწავლეთა დიდ დამაჟგოთს უნეეჟე რაინების სახალხო თეატრის.
 სპექტაკლების მუსიკალურად ვიოთეჟებე და შესრულბა მთლიან
 ნაჟე სკოლის ძალეჟიბი ხორჟილდებდა. თეჟი სკოლის დირექტორის
 თორი შანიძის ე. ზნარად შეხვედებით სადირიჟორი პულსით.

ამჟამჟე შეჟამბი მისსამწიფო და საოლსტრაციო კანტორი. ეს
 ხელს შეჟამბი მისსამწიფო კანტორის დონის ვარზაჟების.
 დ. შანიძის სახ. სანტრედიის მუსიკალური სკოლა კვლავჟე ისა-
 ხლებლს თავს და საშობილის აღზრდის მიჟერ ახლავარბა მუსი-
 კისტებს.

სამტრედიის მუსიკალური სკოლის იუბილე

ვლადიმერ ასბოჟაძე

ხელნაწიხეამოცოდენობის კანდიდატი



ამდენიჟე ხნის წინათ სამტრედიის საზოგადოებრიობამ
 აღნიშნა სამტრედიის მუსიკალური სკოლის 40 წლისთაჟი.
 ამ სკოლის სახელთაჟი ვაჟე უმჯავოდ დავაჟგოთებუ-
 ლი დომენტი მუსიკალური მანძისი მოღოჟეჟეშათის,
 რომელჟე მედიოტი თეჟისი შესადგომილბობა სამტრედიის
 მეჟებეის, მომსარეჟოთა და კოლექტიურ ღლებების ბაჟეჟეჟე მუსიკალ-
 რიოდ აღზრდად მუშაობდა. ამიოტიჟეჟე სამტრედიის მუსიკალურ
 სკოლის დომენტი შანიძის სახელი მიეწოჟებო.

თე ვადაჟეჟეჟე თეჟისი 40 წლის მანძილჟე განვლო გზას, და-
 ვახაზაჟე, თეჟე რაიფის დიდი სიმრელების ვალსაჟეჟე მოჟებდა
 სკოლას თეჟისი აზრების მანძილჟე.

სანტრედიისი სამკოთა ხელისუღლებების დამაჟგოთის პირველსაჟე
 წლებში სამტრედიის რაიონის ხელმძღვანელობამ, ვანი სტეჟის
 უმჯავოდ მინაწილობითი, მრავალი თვალსაჩინო ღონისძიებე გაა-
 ტარა, რომელსა შოთის აღნიშნავია სამტრედიის მუსიკალური
 სკოლის შეჟამბი. მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი და სტელის ჩამდგე-
 ბი დომენტი შანიძე იყო. მუსიკალურ სკოლაჟე ზრუნავდენ აგ-
 როჟეჟე მანძილჟე ინტელექტუალისი ისეთი თვალსაჩინო წარმომად-
 გენდელი, რაოროტი იყენებ: ექიბი რ. ნანეიშვილი, დ. ლოლოჟიანი,
 ვ. გეგუღისინი, კ. ცვაჟიფიშვილი, ა. კანდელიჟე, ვ. მჭიფორია და სხვ.
 სანტრედიის მუსიკალურ სკოლამ აღზრდილი, ამჟამჟე საჟარ-
 თელოს სახალხო არტისტი პაოლე კრავიჟიშვილი იყენებენ. „ფორაჟა-
 ბისი“ შეჟამბი, რომელიჟე მანძილჟე სამტრედიის საზოგადოებრი-
 ვი-ერთი მუსიკალური ჟარა იყო, მხოლოდ სამი ინსტრუმენტი
 (ფორტეპიანო) დღეა. მოსწავლეთს გვიან დამეჟელ ვიხილბოდა

ქენდელის მსოფლიო ფესტივალზე კალეში

ვაჟა გვახარია

მეორგ ფრიდრიხს ქენდელი და უილიამ შექსპირი — ამ ორ გენიოსზე, რომლებიც სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, საუკუნეთა განმავლობაში იწერებოდა და იქმნებოდა ძვირფასი შედეგები თი ლიტერატურა. არიან მსოფლიოში უდიდესი შემოქმედნი, რომელთა სამშობლოც უცნობია. ქენდელის პიროვნებას კი ორი ცივილიზებული ერი მიიჩნევს თავის ეროვნულ სიამაყედ — გერმანია და ინგლისი. ერთდროულად კალეში, გოტინგენში და ლონდონში აღნიშნავენ დიდი კომპოზიტორის თარიღთან დაკავშირებულ ყოველწლიურ მსოფლიო ფესტივალს. ეს ფეს-



გეორგ ფრიდრიხს ქენდელი

ტივალის მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების კულტურის ზეიმიცა. 1959 წელს მსოფლიოს ყველა კუთხეში აღინიშნა მისი გარდაცვალების 200 წლისთავი. ინტერნაციონალური კომპოზიტორი, თავისი თემატებით, სიუჟეტებით გასწვდა შორეულ ინდოეთიდან მოყოლებული ვიდრე ესპანეთამდე სხვადასხვა ქვეყნის ლეგენდებსა და ზღაპრებს, ანტიკური და ბიბლიური სიუჟეტებიდან ალეგორიული სახით წარმოდგენილ მის თანადროულობას. გეორგ ფრიდრიხს ქენდელს, როგორც პროფ. აკ. გაწერელიასა და ჩემი გამოკვლევებიდან იცით, დაწერილი აქვს ოპერა „რადამისტი“ ჭართულ ისტორიულ სიუჟეტზე. ქენდელის შესახებ საქართველოში ძალზე ცოტა რამ მოიპოვება, რასაც ასწავლიან კონსერვატორიაში და სასწავლებელში მოძველებული ლიტერატურის მიხედვით, ეს დოკუმები მოითხოვენ საფუძვლიან გადასინჯვას. ქენდელის ნაწარმოებთა შესრულება კი საკმაოდ დაბალ დონეზე დგას. კიდევ მეტი, საქართველოში ძალზე ცოტა მასალა მისი შემოქმედების პროპაგანდისათვის. ეს მითუმეტეს ასასანია ჩვენს ეპოქაში. გასულ საუკუნეში ფ. კრიზანდერმა ასი ტომი დაბეჭდა ქენდელის ნაწარმოებების შესახებ, მასში, როდესაც ჩვენში ზ. ფალიაშვილის სამი ოპერის გამოცემაც კი ვერ მოუხერხებიათ. აღარაფერს ვამბობ დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძისა და ვ. დოლიძის ოპერებზე. ვერ კიდევ 1827 წელს



მოსკოვში ჰენდელის გარდაცვალების 200 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე. სიტყვის ამბობს დ. შოსტაკოვიჩი


ბეთოოვენს ხელთ ეყვარა ჰენდელის ოცტომეული და საჯაროდ მოუწოდებდა ყველას: „ჰენდელი—ეს ჭეშმარიტებაა, წადით და მისგან ისწავლეთ დილის ასე მარტივად წარმოსახვაო“. ი. ხ. ბახი შივარის შუქზე იწერდა ჰენდელის სოლო კანტატა „არმიდა აბანდონატას“, რომლის 1708/9 წლის ხელნაწერმაც მოაღწია ჩვენამდე. მოცარტის ბიოგრაფი ფრანც ნიშკეი 1788 წერდა: „უმანუელ ბახი, ჰასან და ჰენდელი მოცარტს თავის კაცებად მიაჩნდა, მათი ნაწარმოებები კი აუცილებელ შესასწავლ მასალად“. მოცარტს დამუშავებული აქვს ჰენდელის „მესია“, „დეიდამიას“ თემა დამუშავებულია მის „ჯადოსნურ ფლეიტაში“, „სალომოს“ გუნდის თემა D-dur სტრაციონო კონცერტში და ა. შ. მიუხედავად მოძველებული ტრაფარეტული ფორმებისა, ჰენდელის ოპერები დიდ წარმატებით იდგმება და ახლაც ჭეშმარიტ სიამოვნებას აგრძნობინებენ მსმენელს. იგი ამშვენებს გერმანიის, ინგლისის, ჩეხოსლოვაკიის რამდენიმე ათეულ საოპერო სცენას. რაც შეეხება მის ორატორიებს, ყველა ციცილიზებულ ქვეყანაში გაიგონებთ ამ მსოფლიო მუსიკის შედევრებს. ისინი ისეთივე უკვდავნი და მარადიული დარჩებიან, როგორც შექსპირის, რაფაელის, ბახის, პალესტრინას საუკეთესო ქმნილებები. ჰენდელის შემოქმედების შესწავლას 1948 წლიდან დავეუფდეთ კონსერვატორიის სადიპლომო თემა შემირჩია ჩემმა მასწავლებელმა აკად. გ. წერეთელმა, რომელმაც გამაცნო პროფ. აკ. გაწარელიას სტატია ჰენდელის ოპერა „რადამისტის“ შესახებ. სადიპლომო თემაზე მუშაობისას აქტიურ დახმარებას მიწვევდა პროფ. ვლ. დონაძე და მისი წყალობით, მოსკოვის კონსერვატორიის გამოჩენილი პროფესორი რ. გრუბერი. 1955 წელს უწერნალ „საბჭოთა ხელოვნ-

ბის“ (№ 4) ფურცლებზე გამოქვეყნდა ჩემი ერთ-ერთი ადრეული გამოკვლევა ჰენდელის ოპერა „რადამისტის“ შესახებ. ერთი წლით ადრე კი, საქართველოს რადიოკომიტეტის ორკესტრმა და სოლისტებმა ვასტანგ ფალაშვილის დირიჟორობით და ჩემი შესავალი ლექციით, გადასცეს ოპერის ფრაგმენტები. ტექსტი ვთარგმნე ქართულ ენაზე. „რადამისტთან“ დაკავშირებით ფ. კრიზანდერის გამოცემულ ჰენდელის ნაწარმოებების 63-ე ტომიდან გადავიწერე ოპერის პარტიტურის 1 რედაქცია, რომლითაც 1721 წელს გაიხსნა ლონდონის მუსიკალური აკადემია. ანალოგიურ ისტორიულ სიუჟეტზე 1785 წლის ფრანგული გამოცემიდან, ლეინგრადის სალტიკოვ-შენდრინის ბიბლიოთეკიდან გამოვიწერე ეოლი პროსპერ დე კრებიონ უფროსის ხუთმოქმედებიანი ტრაგედია, რომლის შესახებ ნარკვევიც დავებეჭდე ქართულ „ლიტერატურულ გაზეთში“ 1955 წ. 9/IX № 36/95 წ. ეოლი პროსპერ დე კრებიონის ტრაგედიას „რადამისტსა და ზენობიას“ (იხიხსივრის, რომ გზა გაიკაფოს ჩვენი თეატრის სცენაზე) სტრუქტურა სათანადო რედაქცია და კუბირები. თარგმანი ჯერ კიდევ არ მაქვს სრულყოფილი. 1959 წელს, ჰენდელის 200 წლისთავთან დაკავშირებით უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში წიგნითხე ხელმოწოდებულ შესწორებული მოხსენება ჰენდელის ოპერა „რადამისტის“ შესახებ. ეს მოხსენება გადაიცავს ჰენდელის სამშობლო ქალაქ პალეში და 1960 წელს გამოქვეყნდა ლიფციგში „ჰენდელის წელიწადეულში“.

ამ პერიოდის მსოფლიო კონტაქტი დავამყარე ჰენდელის პალეს საზოგადოებასთან. ჩემი გამოკვლევა თარგმანა გამოჩინებდა გერმანელმა მუსიკათმცოდნე პროფ. დოქტ. ვალტერ ზიგმუნდ-შულცმა. მისი შემწეობით სისტემატურად მომდიოდა უახლესი გამოცემები ჰენდელის შემოქმედების შესახებ. პროფ. დოქტ. ვალტერ ზიგმუნდ-შულცი 1955 წელს იმყოფებოდა საქართველოში, სადაც მას უჩვენეს „დაისი“ და ა. შ. ვავერაშვილის ოპერა „მარინე“. თავისი საბეჭდილებები მან გამოაქვეყნა პალეს მართინ ლუთერის საბეჭდილო უნივერსიტეტის შრომებში 1955 წ. (1 რვეული გვ. 47-50).

1960 წელს ქართველი ინტელიგენციის ტურისტულ ჯგუფთან ერთად, რომელსაც ხელმძღვანელობდა დოც. გ. ფხანია, ვიმოგზაურე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ჩემი მიზანი იყო უშუალოდ გაცნობოდი მუსიკალურ კერებს. ამ თვალსაზრისით ვინახე ფ. ლისტის სახლ-მუზეუმი ვაიმარში, ი. ხ. ბახის სახლი — აიზენაში, ლიფციგის კონსერვატორია, პერტელისა და ბრატიკოფის ისტორიული მუსიკალური გამოცემულობა, რაც მთავარია, თომას განთქმული ტჰაბინი, სადაც ი. ხ. ბახის ხალავი გვიჩვენებინა შამეო ქართულმა ტურისტულმა ჯგუფმა. ვიყავით ვარტბურგის ისტორიულ ციხე-დარბაზში, სადაც შემონახულია ლუკას კრანახის მხატვრული ტილო, მართინ ლუთერის ისტორიული საკანი, საკონცერტო დარბაზი, სადაც დგას ისტორიული ფორტეპიანო ლისტისა და ბეთოვენის სახელებთან დაკავშირებული. გვეყვანებოდა ჰენდელის სამშობლოში ქალაქ პალეში. ვიყავი ჰენდელის სახლ-მუზეუმში, სადაც ფესტივალი ახალი დამთავრებული იყო. სანაწარად პროფ. ვ. ზიგმუნდ-შულცი არ დაბნებდა ქალაქში. მიმილო ჰენდელის სახლ-მუზეუმის დირექტორმა პროფ. დოქტ. კონ-

რად სასემ. გავეცანი უამრავ ახალ ლიტერატურას. „საბჭოთა ხელოვნებაში“, გამოქვეყნებული ჩემი სტატიის „რადამისტის“ შესახებ, 1959 წელს ჰენდელის მსოფლიო ფესტივალზე ინფორმაცია გააკეთა და დაბეჭდა გამოჩენილმა საბჭოთა მუსიკომედიანტ რ. გრუბერმა, Zur Händel—Pflege in der Sowjetunion (ლაიფციგი, 1959 წ. Händel—Konferenzbericht. გვ. 261 — 264). მანვე ორგზის აღნიშნა ჩემი შრომა „საბჭოთა მუსიკის“ ფურცლებზე (1959 წ. № 7, 1961 წ. № 10) მოსკოვში ყოფნის დროს მას გადაეცემა რუსულად დამუშავებული ტექსტი, რომელიც ამჟამად ინახება მის პირად არქივში. ამავე პერიოდში, ბერლინში გერმანიის კომპოზიტორთა კავშირის და მუსიკათმცოდნეობის ორგანოში „შესავალი მუსიკათმცოდნეობისა“ 1962 წ. 2 რვეული პროფ. დოქტ. დიტერ ლუმანმა თარგმნა ჩემი ორი გამოკვლევა „ქართული მუსიკის განვითარების გზები“ (გვ. 131-140) და „საკითხი ჩრდ. კავკასიისა და ქართული მუსიკალური კულტურის ურთიერთობისა“ (გვ. 140-151). კონტრაქტი გერმანულ მუსიკათმცოდნეებთან კიდევ უფრო გაიზარდა. 1963 წელს საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის დელეგაციასთან ერთად ვიმოგზაურე დასავლეთ გერმანიაში. ბერლინში დედათავალიერე მუსიკის უმაღლესი სკოლა, ოპერის თეატრი, ფილარმონია, კონერტის დარბაზი, ვიყავი გამოჩენილ პროფესორთან ბორის ბლახერთან, რომელიც პ. ი. ჩაიკოვსკის საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრი იყო მოსკოვში. მიუწვევნი დავესწარი რიჩარდ შტრაუსის და ი. სტრაინსკის ოპერებს. ვისბადენის ოპერაში სხვა ნოტებთან ერთად ვუძღვენი ალ. მაჭავარიანის „ოტელოს“ კლავირი და მეორე დღეს ვეუბერთელა სათაურით გამოქვეყნდა ვრცელი ინფორმაცია „ალ. მაჭავარიანის კლავირი ვისბადენის ოპერის თეატრში“. ვიყავი დიუსელდორფში რ. შუმანის დარბაზში, კოლნში, ფრანკფურტი — მაინსზე ვისმენდი სხვადასხვა სახის საორგანო, კამერულ, ელექტრულ მუსიკას. ბონში ბეთჰოვენის სახლ-მუზეუმის დირექტორმა, პროფ. იოზეფ გეორგ—შიმდტმა დეტალურად გაგაცანო კომპოზიტორის არქივი. ბაიოთითში რ. ვაგნერის შვილიშვილმა გრაფ გრაფინემ დაგათავალიერებინა რ. ვაგნერის თეატრი. მის სახლ-მუზეუმში — „ახალ კოშკში“ შევისწავლე ვაგნერის ოპერების დადგმასთან დაკავშირებული მასალები. გავაცანი „ტანპოიზერის“ ჩემს მიერ შესრულებული ქართული თარგმანი, ვაგნერის დადგმის პრეპარატების თბილისში და იმავე საღამოს გამოაქვეყნეს ვრცელი სტატია „ტანპოიზერი თბილისში“. ვნახეთ რომ გორ გამართლდება მათი და მრავალრიცხოვანი ჩემი მაყურებლის სურვილები. 1964 წელს მიმიწვიეს პალეში, ჰენდელის მსოფლიო ფესტივალზე. ჩემთან ერთად იმყოფებოდა რიგელი მუსიკათმცოდნე პ. ლ. პერონსკი. 1964 წელს პალეში წასვლამდე მივიღე გერმანიიდან ოპერა „რადამისტის“ ვირფიტები, მოვაწვეე საჯარო ლექცია-კონცერტი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში, რომლის ორგანიზებაშიც აქტიურად დაიშინაბა სსრკ სახალხო არტისტი ალ. მაჭავარიანი და სპე. სსრ სახ. არტისტის დავით თიაძე. მიმინდა ლექცია-კონცერტი საქართველოს ტელევიზიაში. ოპერის ქართული თარგმანი და პარტიტურა კონსერვატორიის საოპერო სკოლისათვის გადაეცა ექსპერტატორის რექტორის ხელს. სსრ სახ. არტისტის თ. თაქიაძეშვილს. პალეს მსოფლიო ფესტივალის ესწრებოდა ათასამდე სტუმარი მსოფლიოს ოცდაორი სახელმწიფო-



ვესტ მინსტრის საბატოში ჰენდელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ზეიმი 1784 წელს

ფოდან. აქ იყო ბაზის სასოფადოების გუნდი ლონდონიდან, რომელიც ლაიფციგიდან, ი. ს. ბაზის ოუბლიდან ესტუმრა პალეს ჰენდელის ფესტივალს, გამოჩენილი ამერიკელი მუსიკათმცოდნე პროფ. დოქტ. ალფრედ მანი, ინგლისელი კომპოზიტორი ალან ბუმი, ინგლისელი მუსიკათმცოდნეების პრეზიდენტი პეტრი იუნგი, პროფ. ვალტერ მიერტოში გოტინგენიდან, პროფ. მამ ბოპანი ვიეტნამიდან და სხვა მრ. ფესტივალი გაგრძელდა 6 ივნისიდან — 10 ივნისის ჩათვლით. ფესტივალის წინაღვეს ვიყავი ჰენდელის სახლმუზეუმში. ვნახე ძველი ნაწიბი პროფ. კონრად სასე და გადავეცი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის სამხატვრო საბჭოს და ამ მუზეუმის წინააღვეს ვ. ჩინწალაძის მიმართვა კონტრაქტის დამყარების შესახებ, მივართვი მუზეუმის საჩუქარი — ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ კლავირი. საღამოს ვიყავი პალეს უნივერსიტეტში (რომელიც XVI ს-შია დაარსებული), აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. შესვედრა მჭირნა ცნობილ არაბისტან ი. ფუთან. მსოფვანი არაბისტი დაწერილებით გავაცანი საქართველოში არაბული ენის შესწავლის მეთოდებს და შესაძლებლობის ინსტიტუტში. შესვედრა მჭირნა რადგანაც მისი სწავლების მეთოდები საკმაოდ ემთხვეოდა ჩვენსას. იგი ძალზე მაღალ შეფასებას აძლევს აკად. გ. წერეთ-

ლის ფუნდამენტალურ ნაშრომს შუა აზიის არაბული დილაქტების შესახებ და ძალიან მოსწონს დოც. ალ. ლეკიაშვილის მიერ შედგენილი არაბული ზმნის პარადიგმები. ხუთი საათი ვაგაოლიერებდი კალეს ამოსავალითმცოდნეობის ბიბლიოთეკას, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, მას ასე წლის ისტორია აქვს. კალემ დაცულია ქართული „ყარამანიანის“ XVIII ს-ის ხელნაწერი. ქართული ლიტერატურა ძალზე ღარიბადაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, საქართველოს კულტურის კერებში ლიტერატურის გაცვლა ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო დონეზე. მეორე დღეს მსოფლიოში ცნობილი ორინტალისტი კარლ ბროკელმანის ოჯახიდან ჩვენი ინსტიტუტისა და მისი ხელმძღვანელის აკად. გ. წერეთლისათვის გამომატანეს კარლ ბროკელმანის პორტრეტი.

ჰენდელის ფესტივალი გაიხსნა უნივერსიტეტის დარბაზში, სიტყვები წარმოთქვეს ქალაქის ობერბურგომისტრმა და საზოგადოების პრეზიდენტის წევრებმა. ყოველი დღე უაღრესად გადატვირთული იყო. დილის 10 საათიდან 1 საათამდე თეორიული კონფერენციები მიმდინარეობდა, 1 საათიდან 3 საათამდე ოფიციალური ბანკეტები: ობერბურგომისტრთან, უნივერსიტეტის რექტორთან, ქარხანა — დაწესებულებებში. 3-მ საათამდე სრულდებოდა კამერული და საკუნდი ნაწარმოებები. 7 საათიდან — 11 საათამდე ვისმენდით ოპერებს, ან ორატორებს. 11 საათიდან არტისტულ კლუბში გვიან დამემდე შეხვედრა და კამათი გვექონოა შემსრულებლებთან. დიდი ფორმის ნაწარმოებებიდან მოვისმინე ორატორია „ალექსანდრეს დღესასწაული“, „პრეკულსი“... ოპერები „პტოლომეო“, „ამადისი“. მისი ცნობილი ნაწარმოებები „მუსიკა წყალზე“, „ცოცხლის ოდა“... ვნახე რამდენიმე სპექტაკლი გოეთეს მიერ აშენებულ თეატრში ლაუნშტადტში. 7 ივნისს „ცხელი დღე“ შელოდა. უამრავი სტუმრების წინაშე გერმანულად უნდა წაშეკით-

ხა პატარა მოხსენება და საქართველოს კომპოზიტორების ნიუსალმეხები ადრესი. ყველაფერი ნორმალურად წარიმართა. მოხსენების და ადრესის წაკითხვის შემდეგ საკაროდ გადავეცი ქართველი კომპოზიტორების ოცდაათამდე რჩეული ნაწარმოები, რამაც დამსწრეების უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მოხსენების შემდეგ უამრავი ხალხი შემოიხვეია, მაძლევდნენ მისამართს და მოხოვდნენ გამზავანა მათთვის ქართული მრავალხმიანი ხალხური სიმღერები, უპოლესი ქართული საბჭოთა მუსიკის ნიმუშები, ქართული კლასიკური მუსიკა. მოხოვდნელები იყვნენ ცნობილი მუსიკოსები სულ სხვადასხვა ქვეყნიებიდან. ლაიფციგში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო მუსიკალურ გამომცემლობაში დასაბჭოდად დაიტოვეს ალ. მაჭავარიანის „საბიოლითი კონცერტი“ და ან. ბალანიშვილის მე-3 საფორტეპიანო კონცერტი. მსოფლიო ფესტივალის დღეებში ლაიფციგში გამოიგა ჰენდელის შესახებ არსებული ვრცელი ბიბლიოგრაფია, სადაც ჩემი გერმანული და „საბჭოთა ხელოვნებაში“ 1955 წელს გამოქვეყნებული შრომებია შეტანილი. კალემ ამირჩიეს ჰენდელის მსოფლიო საზოგადოების წევრად, ეს ჩემი პირველი ოფიციალური ნათლობა საზღვარგარეთ. 11 ივნისს ვესტუმრე ბერლინის სახელმწიფო ოპერის დირექტორს, გამოჩენილ ციმბალისტს პ. პიშნერს. ამ თეატრში დასადგმულად გადაცემული აქვთ ალ. მაჭავარიანის ბალტი „ოტელიო“. თეატრში განსაკუთრებით დაინტერესდნენ ზ. ფალიაშვილის „დაისით“ და „აბესალომ და ეფრით“. ვიცავი ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის მუსიკათმცოდნეობის ინსტიტუტში. პროფ. დიქტ. დიჩერ ლემანთან, რომელსაც გადავეცი ქართული ხალხური სიმღერის კრებული და ხანგრძლივი საუბარი მჭინდა ქართული მუსიკის ისტორიის საკითხებზე. ახე წარიმართა ჩემი სამეცნიერო მიგლინება ჰენდელის მსოფლიო ფესტივალზე და ასეთია ჩემი კონტაქტები გერმანულ მუსიკათმცოდნეობთან.



ქალაქი კალე ჰენდელის საფოხლო დღეებში. კომპოზიტორის ქველან გართული მიტინგი



ხედი მონასტერზე

სტუმრად

გულგარეთში

აკაკი ხორავა

სსრკ სახალხო არტისტი




აინერმა კურსი სოფისაკენ (ბულგარეთი) აიღო. სხვა მგზავრთა შორის ორნი ვართ წარგზავნილები საკავშირო კულტურის სამინისტროს მიერ, სრულიად ბულგარეთის ხალხის ფიზიზმისაგან განთავისუფლების 20 წლისთავთანაა დაკავშირებული. ჩემთან ერთად მოფრინავს საკავშირო კულტურის სამინისტროს თეატრალური განყოფილების სარეპერტურათო კომიტეტის მთავარი რედაქტორი გ. ვ. ოსიპოვი. ჩვენი მიზანია გავცნოთ ბულგარეთის თანამედროვე ეროვნულ დრამატურგიას და შევისწავლოთ დრამატული თეატრების შემოქმედებითი ცხოვრება.

ფრენა მოსკოვიდან სოფიამდე ოთხი საათი გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში ჩვენი საუბარი ბულგარეთის ისტორიისა და კულტურის ირგვლივ ტრიალებდა.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით სოფიას, მით უფრო იზრდებოდა ინტერესი ბულგარეთისადმი. გვინდოდა ჩვენის თვალთ გვენახა ის განსაკვიფრებელი მიღწევები, რომელიც ფაზიზმზე გამარჯვების შემდეგ იქნა მოპოვებული. თუმცე წვიმიდა, მაგრამ აეროსადგურზე ბევრი დაგვეგდა: მსახიობები, მწერლები, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, სტუდენტობა. შეხვედრა იყო თბილი და გულმსურვალე. მასპინძლებისათვის ჩვენ უკვე ცნობილი ვიყავით. მოგვათავსეს სოფიის საუკეთესო სასტუმრო „რილა“-ში.

ბულგარეთში სამჯერ ვიყავი: ორჯერ ვარნაში და ერთხელ სოფიაში. თითქმის 12 წლის შემდეგ მეორედ ჩავედი სოფიაში. ვეღარ ვივანი: მრავალსართულიანი სახლები, კეთილმოწყობილი ქუჩები, მთელი ქალაქი ბადად არის ქცეული—უთვალავი პარკები, სკვერები, აუზები, ქუჩის გასწვრივ ყვავილები, ძეგლები, მონუმენტები, ასე მეგონა სხვა ქალაქში მოვხვდი. მაღაზიები საესე სანოვავით, ქსოვილებით, ხალხი დინჯია, აუქჩა-რებელი, ავიტათ სადად. ყველას სახეზე კმაყოფილება ეტყობა. აქ ყოველი ქვეყნიდან მოდიან ტურისტები, დელეგაციები, ვარნაში მიმავალი დამსვენებლები. ძირითადად ისმის რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, პოლონური, ჩეხური ენები. იგრძნობა განსაკუთრებული თბილი დამოკიდებულება სამბჭოთა ადამიანებისადმი. რუსული ენა თითქმის ყველამ იცის და საუბარში ბულგარული ენის უკოდინარობით შეზღუდული არ ვიყავით.

განსაკუთრებით დაგვაინტერესსა კულტურის მდგომარეობამ. ბულგარეთში არსებობს მეცნიერებათა აკადემია 10 გან-



კისტლიცას ტაძარი (1083 წ.)

ყოფილებით. აკადემიის მეცნიერ მუშაკთა რიცხვი 6000 აღწევს. მათ შორის 55 აკადემიკოსი და 60 წევრკორესპონდენტია. 95 კვლევითი ინსტიტუტია, 20 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 40.000 სტუდენტი სწავლობს. საბავშვო ბაღებით, საშუალო სკოლებით, საშუალო პოლიტექნიკური პროფესიონალური და პროფესიონალურ-ტექნიკური სასწავლებლებით დასაყრდელია მთელი ბულგარეთი. წერა-კითხვის უცოდინარს თითქმის ვერ შევხვდებით, ბულგარეთში არის სახელმწიფო კონსერვატორია, სახვითი ხელოვნების უმაღლესი ინსტიტუტი, თეატრალური ინსტიტუტი, წარმატებული მუსიკალური და ხელოვნების სხვადასხვა დარგის სასწავლებლები. მოსწავლეთა საერთო რიცხვი 147.0000 უდრის. სწავლაში ჩაბმულია მთელი მოსახლეობის 20 პროცენტი. მრავალადა სხვადასხვა სახის ბუჩუყე-ლიტი, ბიბლიოთეკები, კლუბები, სამკიხველოები. ბულგარულ ლიტერატურას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. არ მოგვყვები გამორჩენილ მწერალთა ჩამოთვლას, ეს შორს წაგვიყვანდა. ისინი ცნობილი არიან, როგორც ჩვენში, ასევე მსოფლიოში. დიდად არის განვითარებული სახვითი ხელოვნება, არქიტექტურა, მუსიკალური კულტურა, კინოსელოვნება, რადიო-მუწყებლობა, ტელევიზია. გამოდის 84 დასახელების გაზეთი, მრავალი ჟურნალი. 19 გამოცემლობის საშუალებით ერთ სულ

მოსახლეზე 4-ზე მეტი წიგნი მოდის. ბულგარეთის ეკონომიკის მაღალ განვითარებასთან ერთად, გიგანტური ნაბიჯებით იზრდება კულტურა. ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ რა შეუძლია ხალხს, რომლის სათავეში მშრომელები დგანან და რომელთა მოღვაწეობას საფუძვლად უდევს ლენინიზმის ცხოველყოფილი იდეალები.

ცხოვრება დღეს, ყოველდღიურად ახალ-ახალი მიღწევებით მშენებლობის ყველა ფრონტზე. ბულგარელი ხალხი დიდი მადლიერების გრძობით არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირის ხალხების, კომუნისტური პარტიის მიმართ, რომელიც უნაგარო, ნამდვილ მშურ დახმარებას უწყევს ბულგარეთის მშრომელებს ახალი ბედნიერი ცხოვრების შენებაში.

ცოტა რამ თეატრის ისტორიიდან. პროფესიული თეატრი ბულგარეთში თვითმოქმედებიდან წარმოიშვა, რომელიც 1856 წლიდან ფართოდ იყო გავრცელებული. თვითმოქმედი თეატრები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ხალხის ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლასთან. რეპერტუარი იყო გმირული, ისტორიულ-რეოლოგიური შინაარსისა: მიუვოს — „ერნანი“, ლეონიგის — „ემილია გალოტი“, მოლიერის — „ქენვი“. თვითმოქმედი თეატრების მუშაობამ განაპირობა ეროვნული დრამატურგიის შექმნა, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები ოსმალეთის ბატონობიდან განთავისუფლებამდე იყვნენ დობრი, ვიონიკოვი და ვასილ დრუმევი. პირველი პროფესიული თეატრი შეიქმნა 1883 წელს ქალაქ პლოვდივში.

პლოვდივში თეატრის რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ დასის უმრავლესობა სოფიაში გადავიდა და იქ მუდმივი თეატრი „სონოვა“ დააარსეს. 1892 წელს თეატრს ეწოდა „სატანტო დრამატული დასი „ცრემლი და სიცილი“. დასში მუშაობდნენ მსახიობები, რომლებმაც თეატრალური განათლება მიიღეს მოსკოვში, პეტერბურგში, პარიზში, ვენაში, ბერლინში.

1906 წელს ეს თეატრი გადაკეთდა ბულგარეთის სახალხო თეატრად. 1907 წელს აშენდა სპეციალური თეატრალური შენობა, რომელიც გახდა დასის მუდმივი სამყოფელი და მილიონად სახელმწიფოს კმაყოფაზე გადავიდა.

პირველ ხანებში თეატრის რეჟისორებად იყვნენ თვით მსახიობები, რომლებსაც არ ჰქონდათ სპეციალური განათლება. ზოგჯერ იყვნენდნენ უცხოეთიდან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბულგარეთის თეატრის ისტორიაში ნ. მ. მასალიტინოვის 32 წლის რეჟისორულ მუშაობას (1925—1951) მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიმღევაკამა თეატრში შემოქმედების რეალისტური მიმართულება განამტკიცა. ხელმძღვანელობდა აქტივობა აღზრდის პირველ სკოლას, რომლის ბაზაზე შეიქმნა უმაღლესი თეატრალური ინსტიტუტი შეიქმნა. უკანასკნელ ათ წელში გამოვლინდნენ ნიჭიერი რეჟისორები: ბოიშ დანოჟკი, ფილიპ ფილიპოვი, კრისტიუ მირსკი და სხვ. ძველი თათბის აქტივობა აქლანისმნავა ვასილ კროკოვი, აღრიანა ბუღლეჟკა, სავა ოგინანოვი, სარაჟოვი, კირჩევი, როზა და ივანე პოპოვი, განწევი, კროკოვი, ისინოვა, ივანკოვი.

საშუალო თაობიდან უნდა აღინიშნოს ბრწყინვალე მსახიობები: დ. დიმიტრი, ტ. ტრენდაფილოვი, კ. კისინოვი, გ. სტამატოვი, პ. დიმიტროვი, ა. ტემელოვი, მ. პოპოვი და მრავალი სხვა. ახალგაზრდებიდან თავისი ნიჭიერებით გამოირჩევიან: მ. დუპარინოვა, ა. მილანოვი, ა. კარამიტევი ტ. მასალიტინოვა, ს. ნოვაკოვა, მ. პავლოვა, მ. გაცევი და სხვ. თეატრის

ზრდასთან ერთად გაიზარდა და გამოიკვეთა დრამატურგიაც. დღესაც სპატიო ადგილი უკავია თეატრების რეპერტურაში შესანიშნავი მწერის ი. ვაზოვის პიესებს, დიდის წარმატებით სარგებლობენ პ. იაგოფის, ა. სტაშვილის, ი. იოვკოვის, ს. კოსტოვის, თ. ვასილევის, კ. ზოდროვის, გ. კარას-ლანოვის, ლ. სტრელკოვისა და სხვათა პიესები. დღეს ბულგარეთში 36 პროფესიული სახელმწიფო თეატრია, რომელთა შიგნით 60-ზე მეტი ავტორის პიესები იღვწება. თითქმის არ დარჩენილა არც ერთი თვალსაჩინო პროზაიკოსი და პოეტი, რომ პიესა არ ქონდეს დაწერილი და დადგენილი. ეტყობა თეატრის ბედისწაღებით დაინტერესებულა ბულგარეთის მთელი მწერლობა. რასაკვირველია, მწერლობისა და თეატრის თანამშრომლობამ დიდი ნაყოფი გამოიღო და ეს თეატრებს ბრწყინვალე პერსპექტივებს უშლის.

გარდა ეროვნული დრამატურგიისა, თეატრების რეპერტურაში დიდი ადგილი აქვს დამოხიბლი მთოფიური კლასიკასა და უცხოეთის თანამედროვე პროგრესულ დრამატურგიას. უნდა ითქვას, რომ რეჟისორებისა და თეატრმცოდნეების ნაწილს სპეციალური განათება მოსკოვისა და ლენინგრადში აქვთ მიღებული. ეს ისე არ უნდა გაგვიფიქროს, რომ ბულგარეთის არა ყავს ხელოვნების კადრების მოსამზადებელი სამკვლელო, სადაც გაიზარდნენ შესანიშნავი მსახიობები, რეჟისორები, თეატრმცოდნეები, რომლებსაც დღეს ბულგარეთის თეატრებში წამყვანი ადგილები უკავიათ.

დავათავლიერეთ ბულგარეთის უმაღლესი თეატრალური ინსტიტუტი და გავეცანით მის საქმიანობას. თეატრალურ ინსტიტუტს 15 წლის ისტორია აქვს. მას დამთბობილი აქვს სოფლის ექნტრში დიდი ხულისათულიანი შენობა, რომელშიც 52 ოთახი და აუღლებრიანია. ინსტიტუტში ოთხი ფაკულტეტი: სახასიათო, სარეჟისორო, თეატრმცოდნეობისა და თოთვერობის თეატრის კადრების მომზადების. სწავლება სახასიათოში ფაკულტეტზე 4 წელს გრძელდება. სარეჟისორო ფაკულტეტზე 4 წელსა და სახელოვნობის თეატრმცოდნეობაზე — 5 წელსა და, თოთვერობის თეატრების კადრების მომზადებისათვის 5 წელსა და განკუთვნილი. სასწავლო პროგრამაში ძირითადი მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის პროგრამებს ემთხვევა. პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა გამოცდილი პედაგოგებისაგან და წამყვან პროფესიულ მსახიობთაგან შედგება. ყოველ კურსის თავისი პაატრა სასწავლო თეატრი აქვს, სადაც უმოაგრესად სახასიათო ოსტატობაში ტარდება მცვალინიობა. ამის გარდა აქვთ დიდი, ოთხსადგილიანი სასწავლო თეატრი, სადაც მასწავლებელთათვის კვირაში ოთხჯერ იღვწება ფსიხანი წარმოღვენიები. (რამა უნდა, ბიოლოგიი შედავათიან ფასებში). ეს პაატრა თეატრი ატყურვლია სასცენო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით. საგამოდ ყავთ ტექნიკური პერსონალი: გრომორები, ჩამცმელები, სცენის მუშები, რეკვიზიტორები, ბუტაფორები, განმათებლები. აქვთ მდიდარი კარდრობი და სახელონობები. ყველაფერი ისე, როგორც დიდ პროფესიულ თეატრებში, მხოლოდ უფრო პაატრა მასტობით.

საქარბოში პრაქტიკას სტუდენტები ინსტიტუტშივე გადიან. მათ არ სჭირდებათ სხვადასხვა თეატრებში პრაქტიკის მიღება. ეს კი ხელს უწყობს სტუდენტების ნორმალურ პირობებში სწავლებას.

კურსდამთავრებული მსახიობები ნაწილდებიან რესპუბლი-

კის სხვადასხვა თეატრებში. მთელი კურსი თავისი რეჟისოროთ იგზავნება საშუალოდ ამა თუ იმ თეატრში. ახლა ეს ასე არ არის. ინსტიტუტის ხელმძღვანელები ცდილობენ ისევ დაუბრუნდნენ ჯგუფური განაწილების, რადგან ამან ადრე დადებითი შედეგი გამოიღო. ახლადმისაღები კონტინენტი ყველა ფაკულტეტზე 40-45 სტუდენტს შეადგავს. კურსი მსახიობის ოსტატობასა და რეჟისურაში ინსტიტუტის დამთავრებამდე ერთ დღემდე პედაგოგს მიჰყავს (რომელსაც ერთი ან ორი ასისტენტი აქვს). მისადმი კონკურსი დიდია. გამოცდებზე 300-400 ახალგაზრდა მოდის, უმეტესად ქალაქებიდან. სწარმოებს მკაცრი, მიუდგომელი, შერჩევა. სწავლების განმავლობაში თუ გამოვლინდა პროფესიულად გამოუსადეგარი მსწერდენტი, მთურდელდა სხინიან ინსტიტუტშიდან. ასეთი ცაკერი, მართებული მიდგომა ყველა პირობას ქმნის, რომ ინსტიტუტში დაბარკი, ყოველმხრივ მომზადებული პროფესიონალები გამოვიდნენ.

ჩვენ გვქონდა საშუალება გვენახა პირველი და მეორე კურსის წინა საგამოდო რეპეტიცია მსახიობის ოსტატობაში. თამაშობდნენ უგრიზოდ, უკოსტუმოდ, რეპეტიციებმა ძალიან კარგი შობაგებდობა დასტავა. პირველი კურსის სპექტაკლი იყო რემარკის — „უკანასკნელი გაჩერება“ და ჩხოვის — „მოუსვენარი სტუმარი“, ხოლო მეორე კურსისა ბრეჰტის — „კაშუში“. ჩანს უდავოდ დიდის პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ეციდებიან კადრების აღზრდას.

ძალიან კარგი შობაგებდობა დასტავა ჩვენზე ინსტიტუტის დისციპლინამ, ყველაფერ შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევს. სტუდენტობასა და მასწავლებლებს შორის უბრალო, გულოთიან, საქმიანი დამოციდებლობაა.

26 მაისის თანე ვაზოვის სახელობის თეატრში დაიწყო ბულგარეთის თანამედროვე დრამატურგიისა და თეატრის მესამე ეროვნული დათვალერება. დასკვნით საღამოს წინ უძღოდა ბულგარეთში მოქმედი ყველა სახელმწიფო თეატრის (გარდა ვაზოვის სახელობის და შვიარადებული ძალების თეატრებისა) და სასაზხო თეატრების დათვალერება. მისი მიზანი იყო თანამედროვე ეროვნული დრამატურგიისა და თეატრების შემოქმედებელი მომხარებობის შესწავლა. სოფიამ დასკვნითი დათვალერებისათვის 25 წარმოდგენა შეარჩიეს. მოწვეული იყვნენ სტუმრები სხვადასხვა ქვეყნიდან. (საბჭოთა კავშირიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, რუმინეთიდან და სხვ.). ინტერესი დათვალერებისადმი დიდი იყო. იგი საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა და ხალხიც უამრავი ესწრებოდა. თეატრის წინ მდებარე მოედანი თითქმის სავსე იყო თეატრში მიხედვრის მსურველებით. დათვალერებას თითქმის ყოველდღე ესწრებოდნენ მთავრობის წევრები და პარტიის ხელმძღვანელები. დათვალერებას ეროვნული დღესასწაულის ელფერი ქმნიდა.

დათვალერების გასნის დღეს წარმოდგენის წინ სიტყვით გამოვიდა ბულგარეთის განამალების მინისტრი (რომლის ყველაზე შიდასი ხელოვნება), რომელმაც ასე განმარტა დათვალერების მიზნები და ამოცანები: პირველი — თუ რამდენად დათვალენი დრამატურგები და თეატრები სოციალისტური რეალისმის მეთოდს თავითან შემოქმედებამი, მეორე — რამდენად ამაღლდა მსახიობისა და რეჟისორის ოსტატობა, მეს-

მე — რა ადგილი უკავია თანამედროვეობას დრამატურება და თეატრების შემოქმედებაში.

სპექტაკლის ნახვის შემდეგ, მეორე დღეს თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო თეატრში წინადადით ნახული წარმოდგენის განხილვა ეწყობოდა. განხილვის წესი ასეთი იყო: კრებას ღირსის რომელიმე წევრი ხსნიდა. მოხსენებით გამოდიოდა ერთმომეო კრიტიკოსი, რომელიც პიესის და დღემის ღირსება-ნაკლებობებს აღნიშნავდა. მოხსენებლის შემდეგ გამოდიოდა დრამატურგი, სახელად დამდგმელი რეჟისორი და მეორე ვისაც სურდა. გარჩევა ემდებოდა დრამაში მიმდინარეობდა. კრიტიკა იყო პირუთენილი, საქმიანი, პრინციპული, პირდაპირი, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის პოზიციებიდან. ხშირად კამათი მწყვეტ სასათის ღებულობდა, მაგრამ ეთიკის საზღვრებს არ სცილდებოდა.

პირდად მე არ შემიძლო დათვალეობების დამთავრებამდე დარჩენა, რადან აქ თეატრალური ინსტიტუტი მეოთხე კურსის სადაბლოში წარმოდგენა უნდა გამოემყვა. მხოლოდ 10 სპექტაკლი ვნახე.

არ შეუდგებო წარმოდგენების დაწერილობით განხილვას, ვიღარაპირველ მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებებს. რასაკვირველია, ბულგარული ენის არცოდნა დიდად გავიშლიდა ხელს პიესათა ლიტერატურული ღირსების გაცნობაში. დათვალეობებზე წარმოდგენილი პიესები ძირითადად ასახავდა ბულგარეთის დღევანდელ დღეს, თანამედროვე ადამიანის სასიათის ფორმირებას, ფაშისმთან ბრძოლას და ისტორიულ რეჟიმულერებაზე წარსულს. ბევრი მავანია ინსცენირება იყო თვით ავტორის მიერ გადაკეთებული, ამიტომ ზოგი მათგანი ხელოვნურად შეკორექტირებული შთაბეჭდილებას ტოვებდა.

დათვალეობებმა ძირითადად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. მაგრამ მაქვს შენიშვნებიც. ზოგ წარმოდგენაში რეჟისორისა და მსახიობის რუმი ჭიდილი იგრძნობა. ავტორი ცდილობს რეალისტურ ხაზზემ გადატარას პიესაში დასმული აოცანები, რეჟისორი კი თავის გამორჩენის მიზნით ხშირად სქემატისმისაკენ იხრება. ჩემზე მსატრებმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. სპექტაკლები გაფორმებულია რეალისტურად. მსატრების მიზანია მსახიობის შეუქმნან კარვად ვახსრებულნი სამიქმედო არე. არც განათება თვითმიზნად გადაქცეული, მსატრულად არის გადაწყვეტილი, ბევრ ბულგარულ რეჟისორს მოსკოვში აქვს დამთავრებული ინსტიტუტი და თავს ხანდახანს სისტემის მიმდევრად თვლის. რეჟისორებს ეკამათობდნენ მსახიობები, კრიტიკოსები, თეატრმცოდნეები, დრამატურგები, რომლებიც ამა მატყუნებდნენ პიესების გადაკეთებაში, ეკამათობულად მონტაჟში. მსატრული სახეების სწორად არ გაგეგმა. დისპოტმა დავაგაწყობა, რომ მთავართში მხატვრული აზროვნება მტკიცედ დგას რეალიზმის პოზიციებზე და ფორმალისმი ყოველგვარ გამოვლინებას გზა გადაკეტილი აქვს. როგორც აღვნიშნე, დათვალეობებში მონაწილეობას არ დებულობდნენ წამყვანი სახეები თეატრები, რომელთა მსატრული მიღწევები ფართოდ არის ცნობილი ბულგარეთის საზღვრებს გადაეოცა.

დათვალეობებში იყო რამდენიმე შესანიშნავი, იდეურად და მსატრულად გამართული პიესა. ასეთად მიმაჩნია ვუორგი მარკოვისა და ვალერი პეტროვის პიესები.

ჩვენი განსაკუთრებული მოწონება დამისახურა მარია სომოგა პიესამ „არჩვეულებრივი პროცესი“. შესანიშნავად დადგმულმა შეიარაღებული ძალების თეატრმა. (იგი დათვალეობების პროგრამაში არ შედიოდა) პიესა ოპტიმისტურია და დიდად ემოციური. თუმცა იგი სამ საათს გრძელდებოდა, მიუხედავად ენის უცოდინარობის მიანც, მოკაღებულები ვუსმენდი. პიესა ვიხილე ავტორს, მაინც სამომავლო გადაწყვეტილებაზე ვნახე ბულგარული ენაზე (თარგმანი რუსულად ჯერ არ არის). პიესა ჩამოვიტანე და მიხდა, რომ იგი ჩვენი თეატრების სცენაზე ვნახო განხორციელებული. დარწმუნებული ვარ ჩვენი საზოგადოებრიობა მას გულმხურვალედ მიიღებს.

დათვალეობებში მონაწილე თეატრებს ყავთ შესანიშნავი ოსტატები, ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები, რომელთა შემოქმედება აბეჭდილია მაღალი პროფესიონალიზმით. თეატრით დაინტერესებული მთავრობა, პარტია, საზოგადოებრიობა, თვით თეატრის მუშაკები. ყოველივე ეს კი საწინდარია იმისა, რომ დათვალეობებში მონაწილე კოლექტივები მალე გაუტლდებიან ბულგარეთის სახელმოსხვეცილ პროფესიულ თეატრებს.

თავისუფალ დროს ჩვენ ბულგარეთის ისტორიულსა და კულტურულ ძეგლებს ვეცნობოდით. სოფია ითიქმის პალატაში ნახვერუქების ცენტრში მდებარეობს. სამხრეთ ბულგარეთი მდინარა ისტორიული ძეგლებით, ნანგრევებით, ძველი ციხეებით, ეკლესია მონასტრებით. რასაკვირველია, თვითეული ძალზე ხანდაზრდა, მაგრამ ყველაფრის დათვალეობებს თვები უნდა. ჩვენ კი მხოლოდ 12 დღე გვეჩინდა. ზოგმა რამე ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილებები დასტოვა, კერძოდ მთელ მსოფლიოში ცნობილმა ყაზანლიყის სახანმა. (ჩვენ ერთად IV საუკუნის ძეგლი). პანაიურთების ოქრის ჭურჭლის საგანძურმა (ჩვენ წელთაღრიცხვამდე IV საუკ.)

არქეოლოგიური მუშევები დაარსებულია 1892 წელს და აქვს ხუთი განყოფილება. ისტორიულ განყოფილებაში წარმოდგენილია ქვისა და ბრინჯაოს საუკუნეების ექსპონატები, (პირველყოფილი ადამიანის მატერიალური კულტურის ნიმუშები, ნაპოვნი ბულგარეთში არქეოლოგიური გათხრების დროს). ანტიკურ განყოფილებაში წარმოდგენილია ელინური და რომული პერიოდის ქვისა და მარმარილოს ძეგლები.

მესამე განყოფილება დათმობილი აქვს ადრე შუა საუკუნეების ექსპონატებს. მრავლად არის წარმოდგენილი ლავური და მურეზის ნიმუშები, შრომის იარაღები, ეკრამიკა, სამკაულები. მდინარულად არის ექსპონირებული ბულგარეთის უძველესი ხატების კოლექცია. ვნახეთ ენონოგრაფიული მუხეუმი მისი მრავალრიცხოვანი ექსპონატებით (30.000-ზე მეტი). რასაკვირველია, ყველაფრის დათვალეობებს ვერც მოვასწრებდი, მაგრამ ბულგარეთის ყოფისა და მატერიალური კულტურის, ეროვნულ ტანსაცმლის, მუსიკის, ხალხური შემოქმედების შესახებ ზოგადი წარმოდგენა მაინც შევიქმენა. საინტერესოა, რომ მრავალი ექსპონატი, განსაკუთრებით რაც ბულგარული ხალხის ყოფას ვამხატავს, ძველ სამეგრელოსს ჩამოგავს. მაგალიად, ქობის შიგნით მოწყობილია, სამეფო საკმები, სიუჟაო ჭურჭელი, სფერო საწოლი კლდის გასწვრივ, შუა-ცეცხლი, არყის სახდლი ჭურჭელი და მრავალი

სხვა. მუზეუმში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბულგარულ ტრანსკემლებს, ნაქარგებსა და ხეზე კვეთის ნიმუშებს. დათვალიერეთ აგრეთვე ეკლესია, რომელიც სოფიიდან სამე კილომეტრის დაშორებით სოფ. ბოიანაშია. ეკლესიის უძველესი ნაწილი იკუთვნის XI საუკუნის. კედლები დაფარულია შესანიშნავი ფრესკებით და შუა საუკუნეების ხელოვნების შედეგებზეა იოვლები.

წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე რილის მონასტრმა. იგი მდებარეობს სოფიიდან 123 კილომეტრის დაშორებით, მთებში, 1147 მეტრ სიმაღლეზე. ადგილმდებარეობა ლამაზია, მოგაგონებთ ჩვენი ბორჯომის ხეობას. მონასტერი აშენებულია X საუკუნეში ბერ ივანე რილსკის მიერ.

ათი საუკუნის განმავლობაში რილის მონასტერი ბულგარელების სულიერი კულტურის ერთ-ერთი ცენტრი იყო. მონასტრის მდიდარ მუზეუმებსა და ბიბლიოთეკაში შენახულია ბულგარეთის ისტორიისათვის ფასდაუდებელი მასალები, ხელნაწერები, კედლის ფერწერის ფრაგმენტები. ცნობილია, რომ რილის მონასტერი შემოსეული მტრების მიერ სამჯერ იყო დაშვარი, დანგრეული და ისევ აღდგენილი ბულგარელების მიერ.

მონასტერში განსაკუთრებით განმაცვივრა იმან, რომ ეკლესიის კედლების გარეთა მხარე მთლიანად წმინდანთა ცხოვრების გვიზოდებითაა მოხატული. კედლის მხატვრობა, დაახლოებით საუკუნე ნახევარია, უცვლელად არის შენახული. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მხატვრებმა ეს არის დამატარეს მუშაობა. ფერი არსად არ არის შეცვლილი, მითუმეტეს რომ აქ ხშირია წვიმები, ნისლი, თოვლი და ცხუხუხარე მზე. გულთი მიწოდდა მენახა პეტრიწონის მონასტრის ბოჩკოვში. ეს სურვილიც შემისრულეს ბულგარელმა მეგობრებმა. ჩვედით პლოვდივში, რომელიც სოფიიდან 150 კილომეტრით არის დაშორებული და მდებარეობს მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ისმობის საზღვრის მიმართულებით. პლოვდივიდან ბოჩკოვის მონასტრამდე 30 კილომეტრია. არ მოეყვები პლოვდივამდე გზად განვიღო ქალაქების აღწერას, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა ავანიშნო: ბულგარელებს გზები შენახიანადაც აქეთ მოვიღო, მთელი 150 კილომეტრის მანძილზე მოასვალტებულია. გზის ორივე მხარეზე დარგულია ხილის ხეები, იმდენად დიდები, რომ მათი ტოტები შარავზას ზევიდან ფარავნ და მუზარეებს მისიანად იცავენ. უმეტესად გზის ორივე მხარეზე დარგულია ყვავილები. როცა ხეები და გარდები აყვავილებიან, წარმატცი სანახაობა იოვება. შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყვავილენარში მიდიხარ, ხეზე დაწოფებულ ხილს ხელს არავინ ასლებს, იგი ჯარის ნაწილებსათვისა განკუთვნილი. როდესაც დადგება კრეფის დრო, ჯარის ნაწილები მოდიან, კრეფენ ხილს და ზამთრის მარაგს იკუმბენ.

შეღამებისა მივადით პლოვდივში. შესანიშნავ ადგილზე მდებარეობს. მას ორად ყოფს მდინარე მარცა. ქალაქს თავისი მინიწუნებლით მთორე ადგილი უკავია ბულგარეთში სოფიის შემდეგ და დიდი და მდიდარი ისტორია აქვს. ჩვენ ჩასვლისას პლოვდივში კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობდა.

ყველას ივის ცნობილია, რომ დღეს ბულგარეთი წარმო-



ღვთისმშობლის ხატი (XVI ს.)

ადგენს მუსიკალური კულტურის დიდად განვითარებულ ქვეყანას. 5 სათავრო თეატრი, კონსერვატორიები, მრავალი მუსიკალური სასწავლებელი, სიმფონიური ორკესტრები, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები და სხვა. გარდა ამისა ფართოდ არის გავრცელებული მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები. დღეს ბულგარეთში 14000 თვითმოქმედი კოლექტია, რომლის შემადგენლობაში 400.000 მონაწილე ირცხება. ბულგარული კომპოზიტორები და მომღერლები მსოფლიოში ცნობილი არიან. დ. უსუნოვი, ნ. გაიუროვი, ნ. ნიკოლოვი, ი. ვინერი, ნიუ-იორკის, ვენის, პრატის, ლონდონის, მილანის სათავრო თეატრების სცენებისა, ზოგიერთი მათგანი თბილისშიც მოგვინებია.

პიონერსა სახლთან არსებობს 120 ბავშვისაგან შემდგარი პიონერული სიმფონიური ორკესტრი, რომელიც დიდია წარმატებით სარგებლობს არა მარტო ბულგარეთში, არამედ მის საზღვრებს გარეშაც. ორკესტრი ურთულეს კლასიკურ ნაწარმოებებს ასრულებს. 1959 წელს პალერმოში საერთაშორისო კონკურსზე ქვირემ მას „მუსიკალური სასწავლო“ უწოდა.

ბულგარეთში ხშირად ეწყობა დათვალიერებები. ჩვენი იქ ყოფნის წინა დღეებში ჩატარდა ხალხური თვითმოქმედების დათვალიერება, რომელსაც დაესწრნენ სტუმრები უცხო ქვეყნებიდან. დათვალიერებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. ჩვენს შემდეგ ვარნაში უნდა გამართულიყო საერთაშორისო საბალეტო და შემსრულებელთა კონკურსები. ჩატარდა სიმფონიური მუსიკის კონკურსი, მხატვრული სიტყვის ფესტივალი.

განზრახულია მოეწყოს შექსპირის ნაწარმოებთა ფესტივალი და მრავალი სხვა, რომელთაც საერთაშორისო ფესტივალების ხასიათი ეძლევა. ყველა ეს კონკურსი, ფესტივალები ბულგარეთის სხვადასხვა ქალაქებში ტარდება, რაც დიდად უწყობს ხელს მუსიკალური კულტურის პროპაგანდას მოსახლეობაში.

კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე პლოვდევში მონაწილეობასღებულბენ, როგორც ბულგარელები, აგრეთვე საბჭოთა კავშირი, ჩეხები, რუმინელები, იტალიელები, პოლონელები, ფრანგები და სხვ. კამერული მუსიკის ფესტივალი პლოვდევში 1-12 ივნისამდე გრძელდებოდა. ფესტივალზე შესრულდა როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე კამერული მუსიკის ნიმუშები.

დავესწარით ფესტივალის მესამე დღის პროგრამას. პირველი განყოფილება დათმობილი ჰქონდა ჩვენსოლოგიის სასულე საკრავების კონტეტს, რომლის მოსმენითაც უდიდესი სიამოვნება მივიღე. მთერ განყოფილება — პლოვდევის მუსიკალური სასწავლებლების სიმფიანი ორკესტრი. ორკესტრი 13-დან 15 წლის 20 ახალგაზრდისაგან შედგებოდა, კონცერტებისტკერი იყო 14 წლის გოგონა. უკრავდენ რთულ ნაწარმოებებს.

კიდევ ერთი საინტერესო ამბავი:

ფესტივალის მომწყობთ კონცერტების ჩასატარებლად ორსართულიანი ღამაში შენობა აურჩევათ, იგი აშენებულია 1847 წელს, როგორც ბულგარელები ამბობენ, ალორძინების სტილიში. სახლი პატარა შესანიშნავ ბაღში დგას, რომელიც გარშემორტყმულია გალავნით. ბაღში გაშენებულია ყვავილნარი, ხეები. ესტრადად გამოყენებულია სახლი შეასვლელი 25 კვადრატულმეტრიანი აივანი. ბაღში ხეები ოფნავ განათებულია ფერადი ნათურებით, მთელი ატმოსფერო სიმშვიდეს გერის ადამიანს (ბაღში 400-მდე კაცი ეტყევა). გარემო ისეა მოწყობილი, რომ ადამიანი მიიღო არსებით უძლევა მუსიკის ჰანგებს.

რამდენი ასეთი ადგილი შეიძლება გამოიხანოს ჩვენს რეს-

პუბლიკაში მე ვფიქრობ ამაზე უნდა იფიქროს ჩვენმა კომპოზიტორთა კავშირმა.

დილთ ადრე გავემზავებთ ბოქოვოს მონასტერში, ეს წარმტაცი გზა დაწვრილებით და მხატვრულად აქვს აწერილი აკადემიოს ნ. ბერძენიშვილს. დავათვალიერე მონასტრის მხატვრობა, ვნახეთ გრიგოლ ბაკურიანის ძის საფლავი, ღვთისმშობლის ხატი ქართული წარწერით. წინამძღვარი იონა გარდაცვლილიყო. მივიღო ახალმა წინამძღვარმა. ბევრი ვისაუბრეთ საქართველოზე, მის კულტურაზე, ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ ურთიერთობაზე.

სოფიაში ყოფნის დროს მრავალი შეხვედრა გვექონდა სხვადასხვა ორგანიზაციებთან: ბულგარეთის განათლების სამინისტროს მუშაკებთან, მშვიდობის დაცვის კომიტეტთან, ჟურნალ „თეატრის“ თანამშრომლებთან, დათვალიერების ჟიურისთან, მწერლებთან, მსახიობებთან და სხვ.

საუბარი უმათავრებად ეხებოდა ხელოვნების პრობლემებს, თეატრის განვითარების პერსპექტივებს, ბრძოლას ფორმალიზმსა და მის დიფერენციალს სახეობასთან, სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, სტანისლავესკის სისტემას, ენის საკითხს თეატრში, კადრების მოშადაბას. ვედილობით პასუხი გავცევა მათთვის საინტერესო საკითხებზე და ისინიც დიდის სიხარულით გეზიარებდნენ თავიანთ შეხედულებებს.

ყველგან, სადაც კი ვიყავით, ვგრძნობდით მეგობრულ დამოკიდებულებას, ყველას სურდა რითიმე ესიამოვნება ჩვენთვის.

და ბოლოს, არ შემიძლია დიდი მადლიერების გრძობით არ მოვიხსენიო შესანიშნავი ადამიანი, ი. ვაზოვის თეატრის სალიტერატურო ბიუროს წევრი, ცნობილი თეატრმცოდნე და კრიტიკოსი, ლეუმილა ტოდორიანა ალტინოვა, კრიტიკოსი მარგარიტა გეორგიევა, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ჩვენი ყოფნა ბულგარეთში ყოფილიყო აზრიანი და სასიამოვნო და მათი სახით მადლობას ვუხდით ყველას, ვინც ასეთი დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ჩვენს მიმართ.





დიდი მარტვა იდგა. რუსულად სიმღერა აკრძალული იყო. რუსულად ტომ დასმა იტალიური ღაგიის სახელწოდება მიიღო, თუმცა მასში იტალიელი ოპი იყო: ერთი ორკესტრით ფლუტიაზე უკრავდა და მეოცეუ ჩემი ნაცნობი ბაქოდახ, გუნდის წევრი პონტე, — ჩიხებულე იდამიანი. მე მალე ამოფულეს მემღერა „რეგროსო“, „ნოთა-ში“, რის გამოც უნდა გადაეყურა ჩემი მარტვის სიტყვები რუსული ასოებით. წარმოდგენილი მაქვს რა ტკბილად გაიყვირა იტალიური ბგერა ჩემს ბავშვში...

ბათუმიდან ქუთაისის გადავდივით... აქ წარმატებით ვღერტოდი კარდინალს „ებრაელ ქალში“ და ვალენტინს „ფსუტაში“, მაგრამ მალე, დალახვროს ემსაქმა, რომელიდაც მასხიობმა დასის პატრონის, კლუჩარევის ცოლი მოიტაცა, მასთან ერთად გაქრა, და ამკვარად ოპერა დაიშალა.

თბილისში დავბრუნდი გუნდის წევრებთან: ნეიბერგთან, კრივო-შენიგთან და სხვინთან ერთად. უკვეღნი ჩავსახლდით ერთი ბინაში. სხვინ თავისი უნარითა და მოხერხებულობით ჩვენში გამოირჩეოდა: სადაც კი ჩავიდოდა, უკვეღნი გამოჩენიდა საცოლეს, უკვეღნი დღე ნახულობდა მას: იქ სვამდა, იქ ქვამდა, ხანდახან საქმროს უფლებებითაც კი სარგებლობდა, მისი მშობლებისაგან ცტაოდენ ფულს სესხულობდა. თბილისშიც სწრაფად იპოვა საცოლდე, რაც ჩვენთვის პირდაპირ მისწრება იყო: სესხის საცოლესაგან თითქმის უკვეღნიდღე მოქონდა კატლები, პური და ხილი, გვამარაგებდა შურთიანებითა და ახაზიანებით. მაგრამ, საუბედუროდ, თბილისში ბედმა არ გაუღიმა. მდგომარეობა საცოლესთან მალე აემღერა, სესხის ქალაქიდან გაქრა და გაგვივირა და „უსიოდ“.

ჩემი ამხანაგები სადაც მალე მოეწევენ, მე კი ცოტა ზარმაცი და არც ისე მოხერხებული რომ ცხოვრებას შევწყობოდი, მშვიდ-მწყურვარად იდვარსი. სახლის პატრონი კეთილი ქალი იყო და მარცხდამიანც ბინის ქირის გადახდას არ მიაძულებდა.

ორღლიან შინშელს უაყე შეხვედული ვიყავი. ახლა კი სამოთხ დღეს ვმომივლიდობი.

ვეძებდი სამშუაოს, მაგრამ ამაოდ. დახეული კოსტუმით დავდიოდი. საცოლესი სრულიად არ გამაჩნდა, მაგრამ ფარგანდა ევროპულ ქუდს მაინც ვატარებდი. ერთხელ ხეტვის ქარსანაში შევედი, მუხებზე მუსეკტორდენ ჩემს განიერ ფარულიან ქუდს და იციონოდენ. ერთი ამ „ბატონს“ დავიხედეოდი. თბილისში მშობილობა განსაკუთრებით არასასიამოვნოა და მძიმეა, რადგან აქ უკუაფერის პირდაპირ ქუჩაში ხარშავენ და წვევენ. ათსგვარი გემრეილი საქმლის სუნი უნოსავს ატეპობს და მადას აღიზიანებს. სასწარკვეთილებამ შემიპერო, ვშვადდებოდი, შვად ვიყავი მოწულებებისთვის ხელი გამეშვირა, მაგრამ ვერ ვებედავი, ბოლოს გადავწყვიტე თავი მომეკლა: ვიფიქრე შევად იარაღების მაღაზიაში და გამოვდგეღეს ვოხვო, რევოლვერი მარენოს, ის რა თქმა უნდა რევოლვერს მომცემს, ავიღებ და ტყვიას თავში ვიჭარა-შვითი. ახლა ვხედები, რომ ეს გადაწყვეტილება სულიერი იყო და მშვიდრეცელებმა არ ეწერა, მაგრამ მაშინ მტკიცედ გადავწყვიტე, ჩემი თავისათვის ასე იქნებოდა თუ ისე, ბოლო მომეღო. ძალიან მსურდა მეცხოვრა, მაგრამ როგორ მეცხოვრა?

იარაღის მაღაზიის კარებთან დგომისას ნაცნობი ხმა შემომესმა, მიტრიალდი და ჩემს წინ იტალიელი პონტე იდგა.

— რა მოგივდა? — შუშუოთებული მითხრა მან. — რატომ გაქვს ასეთი ხმა?

მე ენა ჩავარდნილი ვიდეი და ტირილი წამსყდა. როცა პონტემ გაიგო, რომ ოთხი დღის მშობრი ვიყავი, შინ წამიყვანა. მისმა მეუღლემ მაშინვე მკარონი მომაროდა და თუმცა მისი ცოლის მრცხვენდა, მაინც ბლომად ვეხვედით.

იტალიელთან შეხვედრამ, მისმა გულყეთილობამ და მკარონმა ძალა შემშატა. მეორე დღეს წავიციებო აფიშა, რომელიც იუწყებოდა, რომ ამაღამ ბაღში წარმოდგენილი იქნება სცენისმოყვარულთა სექტატალიო. გავესულე ბაღისკენ და შესასვლელთან შევხვდი ადამიანს, რომელდაც ცირკის მსახიობები უცნაურად ეცვა. მან რატომღაც უნაზღვრად მომიპაიხა, გამომიჩინა ვინთხმა, რა შემეშობდა და მეც ვუბრძე. ეს ამჟამინ გამოდგა მსახიობი ოსტონი, მან ცალკე, ხეივანში გამიხმო და მითხრა მემღერა რაიმე, შემდგე

ფურცლები ჩემი ცხოვრებიდან

თედორე შალიაპინი

(ნაწევრები)



როხელ, ბაქოში უფლისას, ბედმა გამოიღმა: ქუჩაში ვიპოვე ცალკურგაოსკენილი ჩითის ცხვირსახოცი, ნასკვი გამოსხენი და შვი ოთხი ახაზიანი აღმონდა. მაშინვე თათრის დუქანში ლულა-ქაბაბის საქმელად მოუვსვი. გაშუქებდი და შემდეგ სადღერს მივაშურე. კონდუქტორის დარჩენილი ფულით თბილისამდე წაყვანა ვიხოვე. იგი კეთილი კაცი აღმონდა, ცუდათი კაიკი გამომარტვა და სატვირთო ვაგონის დასამურტრეკებელი ბაქონი თბილისში ჩამოვიდედი.

როგორდაც ვავიჯე, რომ ქალაქში იყო სემიონოვ-სამარსკი და შევიტყე, რომ ოფიცერი კლუჩარევი ბათუმისათვის საოპერო დასს აგროვებდა. დასში შედიოდენ ვანდერბიკი და ფლიტა-ვანდერბიკი, მოწვევულები იყენენ: ვალტერი, ლუციენკო და კრუგლოვი. გუნდის წევრთა შორის შევხვადი ნეიბერგსა და იმ ორ ამხანაგს, რომლებმაც ბაქოში მიმტაცეს.



დაფორდა და მიზნა, მომცემდა რუსულ კოსტუმს, რომლითაც გამოვიდოდა იქ ხალხს ღია სცენაზე.

უდი ბალი იყო, მატარა, და ხალხს მოსვლა ხალხს დიდად არ ეტანებოდა. მაგრამ მე მანც მონდომებით ვმდგროდი, კვიარა იორჯერ გამოვიდოდა და გამოსვლას ორ მანის ვებულობდი. ამ გავიცინა ამიერკავკასიის ტინების თანამშრომლები, რომლებსაც „სამსარქობის სახლის“ ანდერგუნის უკუვებობა; ერბოლდ ვუამებ ჩემს დაბურდულ ცხოვრებაზე, რამაც მათში ჩემებად საერთო თანაგრძობა გამოიწვია. როცა ვაგვც, რომ საკანცელარის საქმეს ვიცნობდი, მიზნობს, მიმეწარა თხოვნი გზის ზუღაღებრიობათვის სასუბაოდ აუცხარა. მეც დაუვებობი და მართლაც ჩამოიტყვის მწერლად თვეში გამოვიდოდა. ჩემი სასუბაზე მოწყობა მარტო შედეგ რომ დროულად მოხდა, იმ ხანად მართკ არ ვცხოვრობდი. ამ ამბავებზე ცტა ხნიო ადრე დაუბალოდ გუნდის მიმდრახლს მართა შუღლს, ძალზე ღამაზ გოგონას, მაგრამ სასუბაოდ გამოუსწორებლად ღლოს. ერბოლდ, იმ ძნელ დღეებში, როცა კუბი შიმშილით მიმბებოდა, მიზნა, საცხოვრებლად მათაც გადავუღოდავი. იგი ძალიან მომწონდა, თუმცა ღლითობდას სამე შეუვებლადი ქონდა, მის ქვევამდე იყო რაღაც ადგირბანსელი და არასამოცონო, მაგრამ მე ვეხედავდი და ვცნობდი, რომ ამ უხებრე ადამიანს ძიორფასი და კვილი გული ჰქონდა. როცა ვუთხარი, ჩვენი ერთად, ერთი ოთახში ცხოვრება უხებრელობა-მეთქი, მან უხებრელო მიზნა: — რა არის ამ უხებრელოი როცა თქვენ დაიწებებ გახლას, მე მივტრიალდები, ხოლო როცა მე — ოქვენა.

